გაზეთი ზეგრის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

№89 (845) 4 – 5 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# მხოლოდ 40 თეთრი

# სადაზღვევო დავალიანებების სკანდალური სია




გვ.3–4

ვის ინტერესებს შეეწირა „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ და ვინ გადაუხდის კლინიკებს 33 მილიონ ლარს

## „ერთ კაცზე ჩამოკიდებული ქვეყანა კვლავ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს სვლას!“



ბიძინა ივანიშვილის ახალი გამოწვევა და ღია წერილი საზოგადოებას გვ.5

## „ივანიშვილი იანვარში კი არ წავა, უკვე წასულია!“



გვ.6

**გიორგი თარგამაძის** პოლიტიკური ანალიზი და სახიფათო პროგნოზები

## თემურ შაშიაშვილი: „ისეთ რამეს ვიტყვი, რაც შეთანხმებული არ მაქვს და შეიძლება, ნინო ბურჯანაძეს ეწყინოს“



დემოკრატიული მოძრაობა და სახალხო კრება არჩევნების ბოიკოტით იმუქრება?! გვ.9

## რატომ არ მთავრდება გახმაურებული საქმეები ხალხისთვის მოსალოდნელი შედეგით გვ.8

## ყაზახი ინვესტორები „ზარალს“ უჩივიან?!

ექსკლუზივი



რაში სდებენ ბრალს ბიზნესმენ გიორგი რამიშვილს გვ.2

## „სამი წელია არსებობისთვის ვიბრძვით და ჩვენი საშველი არაა!“

სტეფანწმინდაში თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახი ხელისუფლებას სახლის გადახურვას სთხოვს გვ.10

## დაპირისპირების გაუხმაურებელი დეტალები



გვ.7

რატომ გასხვისდა იაშვილის კლინიკა ერთ ლარად და როგორ შეურაცხყოფდა საავადმყოფოს თურქი დირექტორი ექიმებს?



## 4–5 სექტემბერს „112“ საგანგებო რეჟიმში იმუშავებს

საქართველოში 4 სექტემბერს ამინდის მკვეთრ გაუარესებას პროგნოზირებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელშიც ყველა მუნიციპალიტეტს უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ: **„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 4 სექტემბრის, დღის მეორე ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის მხრიდან გავრცელებას იწყებს ბალტიის ზღვიდან გადმონაცვლებული ციკლონი და მასთან დაკავშირებული შედარებით ცივი და ნოტიო ჰაერის მასები. აღნიშნული სინოპტიკური პროცესი გაგრძელდება 5 სექტემბრის გვიან საღამომდე და გამოიწვევს დასავლეთის მიმართულების ქარის გაძლიერებას, ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ დაწევას, დასავლეთ საქართველოში ზოგან ძალიან ძლიერ წვიმებს, ზოგან სეტყვას, ზღვის ძლიერ ღელვას და ცალკეულ მდინარეებზე ძლიერ წყალმოვარდნებს, გააქტიურდება ღვარცოფი და მეწყერსაშიში უბნები. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააფრთხილა ყველა მუნიციპალიტეტი, მიიღონ უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები, მოახდინონ ადგილობრივი რესურსების მობილიზაცია, რათა უამინდობას მომზადებულები შეხვდნენ“.**

გარემოს დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ ოფიციალური განცხადებით, დასავლეთის მოსახლეობას მიმართა: **„შესაბამისი სამსახურების გარდა, მნიშვნელოვანია მოსახლეობის გაფრთხილება, არ გავიდნენ მოქალაქეები სანაპიროზე, უსაფრთხო ადგილზე განათავსონ ავტომანქანები და სხვა ქონება. ეს არის ჩვეულებრივი პრევენციული ღონისძიება, რათა ამინდის პირობების გაუარესებას არ მოჰყვეს ქონების დაზიანება ან ადამიანური მსხვერპლი და ზარალი მინიმუმადე იყოს დაყვანილი“.**

გარემოსა და რეგიონული განვითარების სამინისტროების წარმომადგენლების განმარტებით, შესაბამისი სტრუქტურები, საჭიროების შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ.

მოსალოდნელ ბუნებრივ სტიქიასთან დაკავშირებით, ყველა სამხედრო ქვედანაყოფში გამოცხადებულია მზადყოფნა, — ამის შესახებ განცხადებას კი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. თავდაცვის უწყება, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ მოსახლეობას მხარდაჭერასა და დახმარებას აღმოუჩენს. საგანგებო რეჟიმში დაიწყებს მუშაობას საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდლობის დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ „112“-ის დეპარტამენტის განცხადებით კი, „4-5 სექტემბრის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტი სრულ მზადყოფნაშია, იმუშაოს განსაკუთრებულ რეჟიმში, რათა „112“-ის სადისპეტჩერომ ოპერატიულად მიიღოს და განახორციელოს ზარების დროული დისპეტჩერიზაცია, საქართველოს მოსახლეობისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით“.

***„ინტერპრესნიუსი“***




# ყაზახი ინვესტორები „ზარალას“ უჩივიან?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, გიორგი რამიშვილს, იგივე „ზარალას“, ყაზახი პარტნიორები პროკურატურაში უჩივიან. მიზეზი ისაა, რომ „ბი თი ეი ბანკის“ მმართველმა რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი მიიტაცა და მიიმალა. ფულის დატაცებასა და მიმალვაში ბანკის მმართველს „ზარალა“ ეხმარებოდა.**



## რაში სდებენ ბრალს ბიზნესმენ გიორგი რამიშვილს

ნავთობი, გაზი, სარკინიგზო გადაზიდვები, სატელეფონო და ინტერნეტსერვისი, საბანკო სექტორი, მშენებლობა, გაყინული ხორცი და ქათამი, ბრინჯი, შაქარი, სამშენებლო მასალები — ეს იმ ბიზნესების არასრული ჩამონათვალია, რასაც გიორგი რამიშვილი, იგივე „ზარალა“ ფლობს საქართველოში. ყოფილ „მხედრიონელს“, რომელიც, როგორც ცნობილია, „ვერის საძმოში“ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, ნაციონალურ მოძრაობაში, მისივე მეგობარი, ასევე ყოფილი „მხედრიონელი“ ნიკა რურუა მფარველობდა. თუმცა „ზარალა“ არც სააკაშვილისგან უჩიოდა უყურადღებობას.

გიორგი რამიშვილის სახელი ნავთობკომპანია „სილქროუდ გრუპს“ უკავშირდება, რომელიც 1998 წელს დაფუძნდა. „სილქროუდ გრუპის“ შემადგენლობაში შედის „სილქნეტი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „რედისონ ბლუ ივერია“ (თბილისში), „რედისონი“ (ბათუმში), „ბი თი ეი ბანკი“, წინანდლის კომპლექსი და საინვესტიციო კომპანია „დი ესი“.

კომპანია „დი ესი“-ს საქართველოში განხორციელებული პროექტებია: ტურისტული კომპლექსი ქობულეთში, საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსი ქობულეთში, ბათუმში, ჩაქვში, ციხისძირსა და მწვანე კონცხზე. ასევე საცხოვრებელი კომპლექსი „საქანელა“ თბილისში.

მიუხედავად იმისა, რომ „ზარალას“ ნიკა რურუა და, უშუალოდ, სააკაშვილი მფარველობდნენ, 2005 წლის მაისში, უშიშროების მაშინდელი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის მითითებით, „ზარალა“ საკუთარ სახლში დააპატიმრეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდების სახით ორი მუხლი — იარაღის უკანონო ტარება და გადასახადებისგან თავის არიდება წაუყენეს, მაგრამ აღარ გაასამართლეს და მალევე გაათავისუფლეს. ამ ამბიდან სამი წლის თავზე, 2008 წელს ჯერ „ზარალას“ მეგობარი ლევან კაჭარავა, იგივე „ტილიკა“ დააკავეს აეროპორტში, რამდენიმე დღეში კი „ზარალაც“ ზედ მიაყოლეს. ოღონდ, არც „ტილიკას“ და არც „ზარალას“ დაპატიმრება სამართალდამცავებს ოფიციალურად არ გაუხმაურებიათ. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, რადგან „ტილიკამ“ თავისუფლების სანაცვლოდ, საკუთარი წილი „თბილისის წყალში“, პრეზიდენტთან დაახლოებული ბიზნესმენების — შარანგიების სასარგებლოდ დათმო. უცნობია, კონკრეტულად რა წილი „დათმო“ „ზარალამ“, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დაკავების შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ყაზახებმა საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობა ანუ „სილქროუდ გრუპი“ გააუქმეს.

იმ პერიოდში, „სილქროუდ გრუპს“, კონკრეტულად „ზარალას“ თბილისში, „ტრამპთაუერი“ უნდა აეშენებინა. მართალია, მაშინ სააკაშვილისა და დონალდ ტრამპის შეხვედრის დეტალები მედიამ აქტიურად გააშუქა, მაგრამ სინამდვილეში, ტრამპს საქართველოში ინვესტიციის სახით, ცენტიც არ ჩაუდია. რეალურად, საქართველოს ხელისუფლებამ დონალდ ტრამპისგან მხოლოდ ბრენდის სახელი შეიძინა, რათა დასრულებული ობიექტისთვის სახელი „ტრამპი“ მიენიჭებინათ. ტრამპის სახელი ქართულ მხარეს 250 000 000 აშშ დოლარი დაუჯდა და გავრცელებული ინფორმაციით, ეს თანხა სწორედ „ზარალამ“ გადაიხადა. როგორც ჩანს, ყაზახები ამ ფაქტმა აღაშფოთა, რადგან „სილქროუდ გრუპს“ ოფიციალურად „ტრამპთაუერის“ აშენების ვალდებულება არ ჰქონია.

ბოლო დროს, ყახაზებსა და „ზარალას“ შორის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. „ვერსიის“ ინფორმაციით, გიორგი რამიშვილის წინააღმდეგ, ყაზახმა ინვესტორებმა ყაზახეთის პროკურატურაში შეიტანეს სარჩელი. სინამდვილეში, ყაზახები „ბი თი აი ბანკის“ ყოფილ მმართველს უჩივიან, რომელმაც ბანკიდან რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი გაიტაცა და მიიმალა. ბანკის მმართველს ამ საქმეში, კრიმინალური წარსულის მქონე ბიზნესმენი „ზარალა“ დაეხმარა. წყაროს ინფორმაცია „ვერსიამ“ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადაამოწმა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხათუნა პაიჭაძის თქმით, უწყებაში ამ საკითხთან დაკავშირებით, არავინ არაფერი იცის, რადგან ყაზახ ინვესტორებს საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის არ მიუმართავთ და არჩილ კბილაშვილის უწყებას ჯერ არც ყაზახი კოლეგები დაკავშირებიან.

**ვერსიანიუსი**

## ირაკლი ღარიბაშვილი NDI-ს დელეგაციას შეხვდა



3 სექტემბერს, შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დელეგაციის წინასაარჩევნო შემფასებელი მისიის წევრები შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიღო.

შეხვედრას ესწრებოდნენ მისურის შტატის ყოფილი მდივანი რობინ კარნაჰარი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად სტოკჰოლმში უსაფრთხოებისა და განვითარების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი პერ ეკლუნდი, ნიუ ჯერსის შტატის პირველი ქალი გუბერნატორი კრისტინ ტოდ უაიტმანი, ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დემონ უილსონი, „ენდი-აის“ ევრაზიის რეგიონული დირექტორი ლორა ჯევეტი, „ენ-დი-აის“ საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესზე, წინასაარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების მოქმედების აქტივობასა და საარჩევნო გარემოზე.

***„ვერსიანიუსი“***

## მიხეილ სააკაშვილი მყინვარწვერის დასალაშქრად იმყოფება



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მყინვარწვერის დასალაშქრად იმყოფება. ამის შესახებ ინფორმაციას მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია facebook-ის ვებგვერდზე აქვეყნებს: **„საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოყვა ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, თითქოს რუსეთის საზღვარმა ყაზბეგის რაიონში გადმოიწია.**

**მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. მყინვარწვერის დასალაშქრად იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი, რის გამოც გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# სადაზღვევო კომპანიებს კლინიკების მიმართ 33 000 000 ლარის დავალიანება დაუგროვდათ

## რატომ შეექმნა ფინანსური პრობლემა „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ და რა ხმებს ავრცელებენ ნაციონალები?




მაია მიშელაძე
593-51-90-12

**სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“, სხვა კომპანიების მსგავსად, სახელმწიფოს წინაშე საავადმყოფოების აშენებისა და კლინიკების გარემონტების ვალდებულება ჰქონდა, მაგრამ კომპანიას არც საავადმყოფოები აუშენებია და არც კლინიკები გაურემონტებია. ხელშეკრულების თანახმად, თუ სადაზღვევო კომპანია ნაკისრ ვალდებულებებს ერთ წელში ვერ შეასრულებდა, საჯარიმო სანქცია დაეკისრებოდა, რაც დღეში 5 000 ლარს შეადგენდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს გადაწყვეტილებით, ამ ტიპის საჯარიმო სანქციებზე მონიტორინგი უკვე გამოცხადდა. ჯამში, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ 13 000 000 ლარის დავალიანება დაუგროვდა. „ვერსია“ აქვეყნებს დოკუმენტს, სადაც დეტალურადაა ასახული, რა რაოდენობის ვალი აქვთ სადაზღვევო კომპანიებს კლინიკების მიმართ.**

### რა პრობლემა შეექმნა „არქიმედეს“?

გავრცელებული ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ სახელს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილსა და „სამგორი ჯგუფის“ დამფუძნებელს, ავთანდილ (ჭუტა) წერეთელს უკავშირებდნენ. იმის გამო, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ვანო მერაბიშვილი მფარველობდა, პრეზიდენტის 165-ე დადგენილების თანახმად, სწორედ „არქიმედეს“ გადასცეს სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულთა დიდი ნაწილი, მათ შორის, თბილისის მაცხოვრებლები მთლიანად. პრეზიდენტის 165-ე დადგენილება პენსიონერთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და 0-დან 5-წლამდე ბავშვების დაზღვევას გულისხმობს.

ექსპერტების აზრით, მიზეზი, რის გამოც სადაზღვევო კომპანიებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ, ამ ბაზარზე სახელმწიფოს უხეში ჩარევა იყო, როდესაც მთავრობამ კერძო სადაზღვევო კომპანიები სახელმწიფო პროგრამებში ძალით „შეათრია“. სადაზღვევო კომპანიებს, მათ შორის „არქიმედეს გლობალ ჯორჯიასაც“, სახელმწიფომ ვალის დაფარვის გრაფიკის შედგენა დაავალა. „არქიმედეს“ გარდა, ყველა სადაზღვევო კომპანიამ რეალისტური გეგმა წარადგინა. შედეგად, 19-დან 23 აგვისტოს ჩათვლით, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ შემოწმება დაიწყო და მოკლე დროშივე აღმოაჩინა, რომ კომპანიას ფინანსური პრობლემები აქვს. ამას მანამდე, 6 თვის ანგარიშში ასახული დარღვევები დაერთო და სამსახურის ხელმძღვანელმა ლაშა ნიკოლაძემ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ორთვიანი ვადით დროებითი მმართველი დაუნიშნა.

დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის უფროსმა **ლაშა ნიკოლაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ დროებითმა მმართველმა კომპანიაში ფინანსური პრობლემები უნდა აღმოფხვრას, მაგრამ თუ პრობლემის გამოსწორებას ვერ შეძლებს, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გაკოტრება-ლიკვიდაციის პროცესი დაიწყება: **„როდესაც 6 თვის შედეგები ჩავიბარეთ, აღმოჩნდა, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ მნიშვნელოვანი ფინანსური პარამეტრები იყო დარღვეული და ამიტომ კომპანიაში იძულებითი ადმინისტრაციით შევედით. ვცდილობთ, ფინანსური მდგომარეობა მათივე მენეჯმენტისა და ინვესტორების დახმარებით გამოვასწოროთ“.**

ამ ფონზე, ნაციონალებმა ხმების გავრცელებაც კი დაიწყეს, რომ ახალი ხელისუფლება უცხოელ, კონკრეტულად კი, ებრაელ ინვესტორებს ავიწროებს. სინამდვილეში, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ უკან ებრაელი ინვესტორები არ დგანან. ის ადამიანი, ვისაც ინვესტორად წარმოადგენდნენ, ინვესტორი სულაც არ არის. წარმოშობითაა ებრაელი, რომელიც ისრაელში საერთოდ არ ცხოვრობს და ბიზნესი არც ერთ ქვეყანაში არ აქვს.

### სადაზღვევო კომპანიების დავალიანება

„ვერსიამ“ მოიპოვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ჯამში, სადაზღვევო კომპანიებს 33 000 000 ლარის დავალიანება დაუგროვდათ. აქედან, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ვალი 13 000 000 ლარია. ესაა ოჯახის ექიმების ხელფასები, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კლინიკების დავალიანებები. დოკუმენტში დეტალურადაა ასახული, რა რაოდენობის ვალი დაუგროვდა ამა თუ იმ სადაზღვევო კომპანიას საავადმყოფოების მიმართ.

**ღუდუშაურის სახელობის კლინიკა:** „არქიმედე“ – 1 696 879 ლარი, „აისი“ – 626775 ლარი, „ალდაგი“ – 105 113 ლარი, „ჯეო“ – 491 659 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 16 654 ლარი, „ირაო“ – 2 429 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 92 158 ლარი, „ალფა“ – 97 855 ლარი.

**შარაშიძის კლინიკა:** „ჯეო“ – 21 000 ლარი, „არქიმედე“ – 34 000 ლარი, „ალფა“ – 8 000 ლარი, „აისი“ – 14 000 ლარი.

**პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი:** „ალდაგი“ – 16 000 ლარი, „ჯეო“ – 25 000 ლარი, „აისი“ – 9 000 ლარი, „არქიმედე“ – 11 000 ლარი, „იმედი ელი“ – 1 000 ლარი.

**კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი**: „არქიმედე“ – 370 000 ლარი, „ალდაგი“ – 5 000 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 4 000 ლარი, „ჯეო“ – 11 000 ლარი, „ადითი“ – 5 000 ლარი, „ირაო“ – 5 000 ლარი.

**შპს „ახალი სიცოცხლე“:** „ალდაგი“ – 3 316 ლარი, „იმედი ელი“ – 20 402 ლარი, „ალფა“ – 9 047 ლარი, „აისი“ – 17 993 ლარი, „ჯეო“ – 27 753 ლარი, „არქიმედე“ – 3 537 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 1 440 ლარი, „ვესტი“ – 400 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 553 ლარი, „ირაო“ – 710 ლარი.

**ალადაშვილის სახელობის კლინიკა:** „ჯეო“ – 49 581 ლარი, „აისი“ – 92 582 ლარი, „არქიმედე“ – 93 478 ლარი, „არდი“ – 2 204 ლარი, „ალდაგი“ – 5 409 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 649 ლარი, „ტაო“ – 445 ლარი, „ალფა“ 1 936 ლარი, „ვესტი“ – 694 ლარი, „პე ეს პე“ – 2 511 ლარი.

**ს/ს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები“:** „არქიმედე“ – 117 060 ლარი, „ჯეო“ – 12 300 ლარი, „ირაო“ – 5 000 ლარი, „აისი“ – 6 000 ლარი.

ს/ს „ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“: „ჯეო“ – 300 625 ლარი, „არქიმედე“ – 155 609 ლარი, „აისი“ – 50 154 ლარი, „იმედი ელი“ – 12 356 ლარი, „ალდაგი“ – 21 068 ლარი.

შპს „ტრავმატოლოგი“: „ჯეო“ – 23 700 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 14 800 ლარი, „ტაო“ – 5 600 ლარი, „მედიკალი“ – 25 000 ლარი, „ირაო“ – 1 800 ლარი, „ვიავიტა“ – 3 600 ლარი, „არქიმედე“ – 739 000 ლარი, „არდი“ – 1 500 ლარი, „ალფა“ – 18 000 ლარი, „ალდაგი“ – 97 000 ლარი, „აისი“ – 78 000 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 16 500 ლარი, „პე ეს პე“ – 4 000 ლარი.

**გაგუას სახელობის კლინიკა:** „ალფა“ – 13 570 ლარი, „ალდაგი“ – 64 186 ლარი, „არქიმედე“ – 103 019 ლარი, „აისი“ – 61 741 ლარი, „უნისონი“ – 4 450 ლარი, „ალდი“ – 4 373 ლარი, „ირაო“ – 50 000 ლარი, „პე ეს პე“ – 40 309 ლარი.

**ჩაფიძის სახელობის კადიოლოგიური კლინიკა:** „არქიმედე“ – 450 000 ლარი, „აისი“ – 100 000 ლარი, „ჯეო“ – 30 000 ლარი.

**თსსუ ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა:** „ირაო“ – 156 433 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 89 038 ლარი, „აისი“ – 124 316 ლარი, „არქიმედე“ – 579 568 ლარი, „მედიქალ პარკი“ – 11 387 ლარი, „იმედი ელი“ – 30 482 ლარი, „ლაფა“ – 50 467 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 48 260 ლარი.

**გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა:** „აისი“ – 38 320 ლარი, „ალფა“ – 6 119 ლარი, „ვესტი“ – 7 895 ლარი, „იმედი ელი“ – 1 461 ლარი, „არქიმედე“ – 198 274 ლარი, „ალდაგი“ – 6 010 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 1 587 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 5 613 ლარი, „ჯეო“ – 72 124 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 3 290 ლარი.

**„ნეო მედი“:** „ვესტი“ – 16 764 ლარი, „ალფა“ – 16 299 ლარი, „იმედი ელი“ – 1 275 ლარი, „ირაო“ – 3 199 ლარი, „ალდაგი“ – 656 ლარი, „ჯეო“ – 3 734 ლარი.

**„იმედის კლინიკა“:** „აისი“ – 45 421 ლარი, „ჯეო“ – 46 452 ლარი, „არქიმედე“ – 70 643 ლარი, „ალფა“ – 53 937 ლარი.

**ონკოპრევენციის ცენტრი:** „არქიმედე“ – 23 350 ლარი, „ალდაგი“ – 4 023 ლარი, „აისი“ – 10 575 ლარი, „ირაო“-„ჯეო“ – 4 876 ლარი.

**თვალის კლინიკა „ახალი მზერა**“: „ვესტი“ – 26 792 ლარი, „ალდაგი“ – 10 519 ლარი, „არდი ჯგუფი“ – 1 384 ლარი, „არქიმედე“ – 75 629 ლარი, „იმედი ელი“ – 37 165 ლარი, „ირაო“ – 3 738 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 7 893 ლარი, „კურაციო“ – 125 ლარი, „პე ეს პე“ – 4 702 ლარი, „ტაო“ – 9 339 ლარი, „უნისონი“ – 130 ლარი, „ჯეო“ – 37 139 ალრი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 14 255 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 19 075 ლარი.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



### სალომე ზურაბიშვილს სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი აქვს

3 სექტემბერს, სალომე ზურაბიშვილს, ცესკო-მ, კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრა, ზურაბიშვილმა კი ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება გადაწყვიტა. მოგვიანებით, ქალბატონი სალომე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. მისი ინფორმაციით, დიპლომატები ცესკო-ს გადაწყვეტილებით გაოცებულები არიან: **„ეს იყო სრულიად გაუგებარი და უკანონო გადაწყვეტილება და ამან დიპლომატები ძალიან გააკვირვა, რადგან ისინი ამგვარ პოსტსაბჭოთა ხრიკებს მიჩვეულები არ არიან. მათ ასევე ავუხსენი, რომ არ მოვითხოვ არანაირ საკონსტიტუციო ცვლილებებს და თუ პარლამენტს სურს ეს თამაში წარმოაჩინოს ისე, თითქოს ჩემთვის ცდილობს ცვლილების მიღებას, ეს საჭირო არ არის, რადგან ამგვარ თამაშებში, მე უფრო მაგარი ვარ“.**

ზურაბიშვილის თქმით, იგი მხოლოდ იმას ითხოვს, რის უფლებასაც კანონი აძლევს, ამიტომ სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების დიდი იმედი აქვს: **„არ ვითხოვ არანაირ გამონაკლისს. პრეზიდენტობის კანდიდატისადმი კონსტიტუციით წაყენებულ ყველა მოთხოვნას ვასრულებ. რატომღაც ყველა დარწმუნებულია, რომ მე ვიქნები არჩეული და როდესაც ვიქნები არჩეული, შემდეგ გავაკეთებ ყველაფერს, რაც უკვე პრეზიდენტს მოეთხოვება“.**

სალომე ზურაბიშვილის განმარტებით, საფრანგეთის მოქალაქეობას მხოლოდ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში დათმობს, ვინაიდან პრეზიდენტობის კანდიდატს კანონმდებლობა ამგვარ მოთხოვნას არ უყენებს. მისივე შეფასებით, მოქალაქეობისადმი „მოხმარებითი დამოკიდებულება“ მიუღებელია: **„მოქალაქეობა არ არის ცხვირსახოცი, რომელსაც გადააგდებ, როცა აღარ გჭირდება. ესაა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება. კონსტიტუციის ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებ, სწორედ ამიტომ მაქვს სასამართლოს იმედი. თუ სასამართლო, პოლიტიკური ზეწოლის გამო კანონს დაარღვევს, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება“.**

***„ინტერპრესნიუსი“***



### თბილისის გეზ-ში ალკოჰოლური სასმელი შეაჩერეს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2 სექტემბერს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონის „თბილისის“ სასაქონლო ოპერაციების სამმართველოს თანამშრომლებმა, სომხეთიდან შემოტანილი საქონლის ნაწილი — 322.50 აშშ დოლარის ღირებულების 750 ბოთლი (0,25 ლ) არაყი, სასაქონლო ნიშნით MOSKOVSKAYA შეაჩერეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სასაქონლო ნიშანი MOSKOVSKAYA ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს წარმოადგენს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ბრძანებითაა რეგისტრირებული. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქონელი 10 სამუშაო დღით შეაჩერეს. შეჩერების შესახებ ინფორმაცია კი მიაწოდეს, სასაქონლო ნიშნის, ასევე საქონლის მფლობელ ორგანიზაციებს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## „სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის“

პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ ჩოხატაურში საარჩევნო შტაბი გახსნა. პრეზიდენტობის კანდიდატმა პირველად გააჟღერა საარჩევნო სლოგანი — „სამართლიანობა ყველგან და ყველასათვის“.

მოსახლეობასთან ბურჯანაძემ საარჩევნო დაპირებებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მოხდება მისი საპრეზიდენტო პროგრამის კორექტირება.

ბურჯანაძე, საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას უახლოეს მომავალში გეგმავს, რის შემდეგაც ის საქართველოს მეორედ შემოივლის და პროგრამას მოსახლეობას გააცნობს.

*„ინტერპრესნიუსი“*



## „სარფის“ საბაჟოზე ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა სგპ „სარფის“ კონტროლის ზონაში ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, თურქეთის რესპუბლიკიდან თურქეთის მოქალაქე შაჰინ მ. შემოვიდა, რომელსაც საბაჟო დათვალიერებისას ცეცხლსასროლი იარაღი მარკით: SARSILMAZ T1102-11R01398, ერთი მჭიდითა და 25 ვაზნით აღმოაჩნდა.

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის საპატრულო პოლიციას გადაეცა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## პატიმარ რუსლან გუგუნავას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცნობით, მსჯავრდებულ რუსლან გ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია არასწორია: **„მსჯავრდებულ რუსლან გ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია. პაციენტის სტაციონარში გადაყვანის ჩვენება ამ მომენტისთვის არ არსებობს. მიუხედავად ამისა, რუსლან გ. დაჟინებით მოითხოვს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანას. მსჯავრდებულს, განმეორებითი დიაგნოსტირების მიზნით, მედპერსონალმა სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანა შესთავაზა, რაზეც მან უარი განაცხადა“.**

სასჯელაღსრულების 6 დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებული იმყოფება, ფუნქციონირებს როგორც სამედიცინო ნაწილი, ისე პირველადი ჯანდაცვის რგოლი: **„გამოჯანმრთელების სურვილის შემთხვევაში, რუსლან გ-ს საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღება ადგილზეც შეუძლია“.**

7 აგვისტოს, რუსლან გ-მ თვითდაზიანების მიზნით, მიიყენა ნასერი ჭრილობები, თუმცა სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარი განაცხადა, რაზედაც შესაბამისი ოქმი შედგა. 3 სექტემბერს, ფოთელი პატიმრის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ეკა ბესელიას ბიუროს მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართეს და ქალაქის მთავარი გამზირი გადაკეტეს. ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს პატიმარს, 12 აგვისტოდან, ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულებული აქვს, მისი ჯეროვანი სამედიცინო გამოკვლევა კი, ამ დრომდე არ მომხდარა. გუგუნავას ადვოკატის, ლადო ჩიტაიას განცხადებით კი, პატიმარს გადაუდებელი სამედიცინო გამოკვლევა ესაჭიროება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, შიმშილობამ კიდევ უფრო დაამძიმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სადაზღვევო კომპანიებს კლინიკების მიმართ 33 000 000 ლარის დავალიანება დაუგროვდათ

*მე-3 გვერდიდან*

**შპს ყიფიანის სახელობის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა:** „ჯეო“ – 1 870 ლარი, „არქიმედე“ – 3 410 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 150 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 30 ლარი.

**წმინდა მიქაელის სახელობის კლინიკა:** „არქიმედე“ – 377 440 ლარი, „ალფა“ – 6 485 ლარი, „აისი“ – 235 239 ალრი, „მედიკალ პარკი“ – 2 229 ლარი, „ჯეო“ – 159 253 ლარი, „ირაო“ – 3 945 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 615 599 ლარი, „ტაო“ – 20 365 ლარი, „ალდაგი“ – 155 006 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 38 528 ლარი.

**რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო:** „ჯეო“ – 230 000 ლარი.

**კლინიკა „რუსთავი“:** „აისი“ – 19 472 ლარი, „არქიმედე“ – 21 771 ლარი.

**რუსთავის „ფოლადის კლინიკა“:** „არქიმედე“ – 30 000 ლარი, „აისი“ – 7 000 ლარი.

**რუსთავის მეორე დიაგნოსტიკური კლინიკა:** „არქიმედე“ – 5 000 ლარი.

**რუსთავის სამშობიარო:** „ჯეო“ – 40 000 ლარი, „არქიმედე“ – 3 000 ლარი, „აისი“ – 12 000 ლარი.

**რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო:** „არქიმედე“ – 7 000 ლარი, „ჯეო“ – 14 000 ლარი, „აისი“ – 5 000 ლარი.

**მარტვილის მრავალფუნქციური კლინიკა:** „არქიმედე“ – 257 388 ლარი.

**მარნეულის ამბ. პოლიკლინიკური გაერთიანება:** „არქიმედე“ – 1 500 ლარი, „აისი“ – 800 ლარი, „ალფა“ – 180 ლარი.

ს/ს „ბოლნისი შპს“: „ალფა“ – 4 000 ლარი, „აისი“ – 10 000 ლარი, „ჯეო“ – 8 090 ლარი.

**ჟორდანიას სახელობის კლინიკა:** „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 3 154 ლარი, „პე ეს პე“ – 29 582 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 240 ლარი, „ალდაგი“ – 1 838 ლარი, „ალფა“ – 2 540 ლარი, „ჯეო“ – 1 198 ლარი, „ირაო“ – 8 851 ლარი, „არქიმედე“ – 17 372 ლარი, „არდი“ – 6 053 ლარი, „ვესტი“ – 320 ლარი.

**ბავშვთა ახალი კლინიკა:** „ალდაგი“ – 96 069 ლარი, „იმედი ელი“ – 8 619 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 62 443 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 48 374 ლარი, „აისი“ – 209 912 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 38 626 ლარი, „არქიმედე“ – 622 936 ლარი, „ჯეო“ – 440 247 ლარი, „ალფა“ – 229 294 ლარი, „სტანდარტი“ – 205 ლარი, „ტაო“ – 7 424 ლარი, „ირაო“ – 3 052 ლარი, „არდი“ – 1 940 ლარი, „უნისონი“ – 1 099 ლარი, „პე ეს პე“ – 3 492 ლარი.

**ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო:** „აისი“ – 48 700 ლარი, „ალდაგი“ – 14 300 ლარი, „ლაფა“ – 15 000 ლარი, „არქიმედე“ – 280 000 ლარი, „ჯეო“ – 53 000 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 4 008 ლარი, „მედიქალ პარკი“ – 5 700 ლარი, „პე ეს პე“ – 6 400 ლარი.

**ზესტაფონის „ფერომედი“:** „აისი“ – 6 500 ლარი, „ირაო“ – 120 000 ლარი, „არქიმედე“ – 1 200 ლარი, „ალფა“ – 7 200 ლარი, „ალდაგი“ – 15 000 ლარი.

**კლინიკა „გული“:** „ალფა“ – 45 430 ლარი, „არქიმედე“ – 196 365 ლარი, „ჯეო“ – 63 292 ლარი, „აისი“ – 79 176 ლარი, „მედიქალ პარკი“ – 17 831 ლარი, „ტაო“ – 5 642 ლარი, „იმედი ელი“ – 7 197 ლარი.

**შპს „ნიუ ჰოსპიტალი“:** „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 9 764 ლარი, „აისი„ – 30 016 ლარი, „ჯეო“ – 31 327 ლარი, „არდი“ – 1 115 ლარი, „არქიმედე“ – 832 701 ლარი, „ალფა“ – 6 475 ლარი, „სახალხო“ – 371 ლარი, „ნაბათი“ – 595 ლარი, „ალდაგი“ – 16 360 ლარი, „ქართუ“ – 21 537 ლარი, „იმედი ელი“ – 8 364 ლარი, „პე ეს პე“ – 250 768 ლარი, „ვესტი“ – 19 310 ლარი, „ირაო“ – 219 ლარი.

**№5 კლინიკური:** „აისი“ – 14 104 ლარი, „ალდაგი“ – 32 670 ლარი, „ალფა“ – 86 613 ლარი, „არდი“ – 732 ლარი, „არქიმედე“ – 255 360 ლარი, „ვესტი“ – 5 289 ლარი, „იმედი ელი“ – 3 602 ლარი, „ირაო“ – 2 467 ლარი, „მედიქალ პარკი“ – 7 879 ლარი, „პარტნიორი“ – 617 ლარი, „პე ეს პე“ – 53 316 ლარი, „ტაო“ – 3 280 ლარი, „უნისონი“ – 980 ლარი, „ქართუ“ – 1 190 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 8 325 ლარი, „ჯეო“ – 15 029 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 15 255 ლარი.

**ქუთაისის საპატრიარქოს საეკლესიო სამმართველო**: „ჯეო“ – 470 000 ლარი.

**ქუთაისის კლინიკა „ბომონდი“:** „ჯეო“ – 340 000 ლარი.

**ქუთაისის ინფექციური სამხარეო კლინიკური:** „ალდაგი“ – 70 000 ლარი, „ჯეო“ – 22 000 ლარი, „აისი“ – 52 000 ლარი, „არქიმედე“ – 25 000 ლარი.

**ქუთაისის ჩხობაძის სახელობის კლინიკა:** „არქიმედე“ – 26 000 ლარი.

**თოდუას სახელობის კლინიკა:** „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 40 800 ლარი, „ბი სი აი“ – 127 300 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 129 700 ლარი, „აისი“ – 48 600 ლარი, „არქიმედე“ – 113 000 ლარი, „ჯეო“ – 31 700 ლარი.

**რეფერალური ჰოსპიტალი:** „არქიმედე“ – 444 164 ლარი, „ალფა“ – 128 876 ლარი, „ალდაგი“ – 123 138 ლარი, „ჯეო“ – 170 951 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 4 901 ლარი, ს/ს „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 1 495 ლარი, შპს

**„ჩემი ოჯახის კლინიკა“** – 3 194 ლარი, „ტაო“ – 4 318 ლარი ,„პე ეს პე“ – 1 142 ლარი, „მედიქალ პარკი“ – 14 454 ლარი, „აისი“ – 42 773 ლარი.

**ამტელ ჰოსპიტალი**: „ალდაგი“ – 5 114 ლარი, „აისი“ – 32 945 ლარი, „ალდაგი“ – 13 466 ლარი, „არდი“ – 3 329 ლარი, „აისი“ – 27 554 ლარი, „მედიქალ პარკი“ – 25 857 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 9 816 ლარი, „ირაო“ – 9 264 ლარი, „არქიმედე“ – 615 955 ლარი, „ჯეო“ – 143 944 ლარი, „უნისონი“ – 187 ლარი.



**„ავერსის“ კლინიკა**: „სტანდარტი“ – 4 006 ლარი, „ლადაგი“ – 1 695 ლარი, „აისი“ – 14 690 ლარი, „ტაო“ – 4 869 ლარი, შპს „ქართუ“ – 40 ალრი, „ვესტი“ – 14 735 ლარი, „არდი„ – 8 206 ლარი, „არქიმედე“ – 14 405 ლარი.

**კლინიკა „ღია გული“:** „ჯეო“ – 15 437 ლარი, „ალდაგი“ – 3 038 ლარი, „არქიმედე“ – 358 459 ლარი, „იმედი ელი“ – 1 090 ლარი, „ტაო“ – 1 230 ლარი, „აისი“ – 81 000 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 1 642 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 9 789 ლარი.

**ინგოროყვას სახელობის კლინიკა:** „ჯეო“ – 330 000 ლარი, „აისი“ – 320 000 ლარი, „არქიმედე“ – 700 000 ლარი, „ალფა“ – 1 125 000 ლარი, „ალდაგი“ – 450 000 ლარი.

**გლდანის სამშობიარო შპს „ნინო“:** „არქიმედე“ – 700 ლარი, „ჯეო“ – 1 400 ლარი.

**იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო:** „ალდაგი“ – 712 432 ლარი, „იმედი ელი“ – 114 740 ლარი, „ალფა“ – 252 906 ლარი, „აისი“ – 879 967 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 50 000 ლარი, „ირაო“ – 4 813 ლარი, „ქართუ“ – 13 340 ლარი, „ვესტი“ – 43 405 ლარი, „არქიმედე“ – 879 376 ლარი, „კურაციო“ – 397 ლარი, „პარტნიორი“ – 16 ლარი, „პე ეს პე“ – 13 535 ლარი, „უნისონი“ – 653 ლარი, „ჯეო“ – 1 158 014 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 129 478 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 143 473 ლარი.

**გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი:** „ირაო“ – 38 000 ლარი, „არქიმედე“ – 24 000 ლარი, „ალფა“ – 44 000 ლარი.

**რეფერალური დახმარების ცენტრი:** „ალდაგი“ – 20 200 ლარი, „აისი“ – 5 260 ლარი, „არქიმედე“ – 1 900 ლარი, „ალფა“ – 1 150 ლარი, „ჯეო“ – 4 492 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 1 852 ლარი.

**თვალის დიაგნოსტიკური ცენტრი**: „ტაო“ – 2 250 ლარი, „არქიმედე“ – 84 107 ლარი.

**ბათუმის რ/ს:** „ალდაგი“ – 511 000 ლარი, „ალფა“ – 223 000 ლარი, „არქიმედე“ – 32 000 ლარი.

**ბათუმის ს/ს:** „ალფა“ – 34 000 ლარი, „აისი“ – 21 500 ლარი, „პე ეს პე“ – 38 865 ლარი, „არქიმედე“ – 39 700 ლარი.

**ბათუმის ონკოლოგიური:** „ალდაგი“ – 47 000 ლარი, „ჯეო“ – 18 950 ლარი, „ირაო“ – 6 789 ლარი, „არდი“ – 6 085 ლარი.

**ბათუმის მეზღვაურთა ცენტრი:** „ვესტი“ – 30 000 ლარი, „აისი“ – 32 000 ლარი, „არქიმედე“ – 19 000 ლარი, „ალფა“ – 24 000 ლარი.

ბათუმის დ/ბ: „ალდაგი“ – 600 000 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 100 000 ლარი.

**ბათუმის №1 პოლიკლინიკა:** „ალდაგი“ – 16 000 ლარი.

ბათუმის საოჯახო მედიცინის ცენტრი: „არქიმედე“ – 16 000 ლარი, „აისი“ – 6 000 ლარი.

**ჯოენის კლინიკა:** „ალდაგი“ – 66 565 ლარი, „ირაო“ – 4 345 ლარი, „პე ეს პე“ – 5 906 ლარი, „სტანდარტი“ – 2 652 ლარი, „ჯეო“ – 72 226 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 15 060 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 4 134 ლარი, „უნისონი“ – 135 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 12 652 ლარი.

**შპს „მკურნალი“:** „არქიმედე“ – 2 550 ლარი.

**შპს „ნევროლოგი“:** „არქიმედე“ – 193 456 ლარი, „ალდაგი“ – 5 281 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 428 ლარი, „აისი“ – 19 847 ლარი, „პე ეს პე“ – 1 054 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 2 590 ლარი, „ირაო“ – 700 ლარი.

**რესპუბლიკური საავადმყოფო:** „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 98 705 ლარი, „აისი“ – 253 582 ლარი, „ირაო“ – 877 ლარი, „მედიკალ პარკი“ – 15 034 ლარი, „არქიმედე“ – 492 198 ლარი, „ტაო“ – 99 045 ლარი, „ალფა“ – 140 750 ლარი, „სტანდარტი“ – 1 500 ლარი, „პე ეს პე“ – 22 743 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკა“ – 102 554 ლარი, „ჯეო“ – 195 105 ლარი.

**გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ეროვნული ცენტრი:** „ალდაგი“ – 2 882 ლარი, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 5 080 ლარი, „აისი“ – 25 598 ლარი, „არქიმედე“ – 298 376 ლარი, „ირაო“ – 1 270 ლარი, „არდი“ – 4 400 ლარი, „ჯეო“ – 29 075 ლარი, „ალფა“ – 1 735 ლარი.

ნინო ინაშვილი

# „ერთ კაცზე ჩამოკიდებული ქვეყანა კვლავ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს სვლას!“

## ბიძინა ივანიშვილის ახალი გამოწვევა და ღია წერილი საზოგადოებას



„წავა თუ დარჩება?; წავა მაგრამ დარჩება? წავა, მაგრამ როდის?“ — წინასაარჩევნო ქარცეცხლშიც კი, ხალხი ამ კითხვებს უფრო ხშირად სვამს, ვიდრე იმას „ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში“. გასაკვირი არცაა — ინტერესს რომ იწვევს, რეალურად, რას აპირებს კოალიციის გამარჯვების მთავარი გარანტორი ბიძინა ივანიშვილი და პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ვის ხელში ტოვებს ქვეყნის მართვის სადავეებს. პრემიერ-მინისტრმა, საზოგადოების ინფორმირების უკვე ტრადიციადქცეულ ფორმას მიმართა და საქართველოს მოსახლეობას ღია წერილი გაუგზავნა, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

პოლიტიკოსების ნაწილმა ივანიშვილის ღია წერილი, ლამის ისტორიული მნიშვნელობის „დოკუმენტის“ რანგში აიყვანა და თქვა, რომ ამ მიმართვით პრემიერმა თავისი სიბრძნის დემონსტრირება კიდევ ერთხელ მოახდინა. შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ივანიშვილი ბრძენი კაცია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ზუსტად იცის, რა გააკეთოსო. ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ პრემიერის ეს გადაწყვეტილებაც ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისკენაა მიმართული.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას „სახელმწიფოებრივი“ უწოდა და გამოგვიტყდა, რომ პრემიერის ეს ნაბიჯი მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

პრინციპში, მოულოდნელი არც არავისთვის უნდა ყოფილიყო — ივანიშვილმა, ჯერ კიდევ თავის პირველ წერილში აღნიშნა, რომ პოლიტიკაში მხოლოდ 2-3 წლით მოდიოდა და შემდეგ, საზოგადოებრივ სექტორში გააგრძელებდა აქტიურ მოღვაწეობას. იმ განცხადებიდან კი თითქმის 2 წელი გავიდა.

ახალ წერილში ივანიშვილმა ისაუბრა იმაზე, დღევანდელი გადასახედიდან რა ფუნქცია ეკისრება მას, როგორც პრემიერს, „ოცნების“ ლიდერსა და, უბრალოდ, ქვეყნის შვილს, ასევე ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ხელისუფლების მიერ უკვე შესრულებულ თუ ჯერშეუსრულებელ მისიებზეც გააკეთა აქცენტი და... პირადად თავის მისიაზეც — **„გავკადნიერდები და შეგახსენებთ — პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის ცდომილების გარეშე გავაკეთე ყველაფერი, პროგნოზებიც კი... ვიცი, როდის რაა საჭირო... ჩემი მისიაა, მესიების მისიების დასრულება საქართველოში“.** ივანიშვილის ამ ერთ-ერთი მთავარი მესიჯის ადრესატი ქართული საზოგადოებაა, ვისზეც, პრემიერის თქმით, დამოკიდებულია, დასრულდება თუ არა „მესიანიზმი“ საქართველოში. **„ხელისუფლებაში იმიტომ მოვედი, რომ დამეცვა საზოგადოება და ეს წარმატებით მოვახერხეთ კიდეც — დღეს ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც დაცულია ხელისუფლების თავნებობისგან, საზოგადოება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მხსნელისა თუ მესიის მოლოდინში“,** — აცხადებს ივანიშვილი და რადგან „თავნებობისკენ“ მიდრეკილება ყველა ხელისუფალს აქვს, ამ სენის საწინააღმდეგო „რეცეპტსაც“ გვთავაზობს: **„გონებით პატრიოტი მოქალაქეების რაოდენობაზეა დამოკიდებული, ხალხისგან ადვილად მართვად მასას მივიღებთ თუ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ხელისუფლებას თავის სამსახურში ამყოფებს“.**

საზოგადოებაზე მართლაც ბევრი რამაა დამოკიდებული, მათ შორის ისიც, როგორი იქნება ხელისუფლება; ხალხზეა დამოკიდებული ისიც, მოჯადოებულ წრეზე ივლის ქვეყანა თუ განვითარების ახალ მწვერვალებს დაიპყრობს... თუმცა საქართველო მოჯადოებულ წრეზე რომ დიდი ხანია ტრიალებს, პრემიერიც აღიარებს და ამ წრიდან თავისეულ გამოსავალსაც გვთავაზობს — **„მოჯადოებულ წრეზე ტრიალი რომ დასრულდეს, საჭიროა, დაუყოვნებლივ დავიწყოთ სამოქალაქო საზოგადოების სწრაფი ტემპებით მშენებლობა და ხელისუფლება მოვაქციოთ მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ. უნდა ჩამოვაყალიბოთ ისეთი საზოგადოება, რომელიც: 1. აკეთებს პასუხისმგებლიან არჩევანს და არჩევნებში აფიქსირებს თავის პოზიციას, თუ როგორი ქვეყანა სურს; 2. არჩევნების შემდეგ მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს არჩეული მთავრობის ეფექტურობას“.**

რა როლი უნდა შეასრულოს თავად ბიძინა ივანიშვილმა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში? — როგორც ჩანს, ერთ-ერთი გადამწყვეტი. **„დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი საჯარო ფუნქციები შეიძლება სამი მიმართულებით განისაზღვროს: 1. სახელისუფლებო (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი); 2. პოლიტიკური (კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი); 3. საზოგადოებრივი (აქტიური მოქალაქე). ვაპირებ, უარი ვთქვა პირველ და მეორე ფუნქციებზე და გამოთავისუფლებული რესურსი მოვახმარო მესამეს იმიტომ, რომ პირველი (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის) და მეორე (მრავალპარტიული დემოკრატიის) მიმართულებით ჩემი მოკრძალებული როლი უკვე შევასრულე“.**

როგორც ჩანს, პრემიერისა და „ოცნების“ ლიდერის ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმისკენ ივანიშვილს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების განვითარება-გაძლიერებაში წვლილის შეტანის სურვილმა არ უბიძგა — მისი თქმით, ამომრჩეველმა „ოცნების“ პროგრამაზე მეტად, ოქტომბრის არჩევნებში ხმა ცვლილებებს მისცა სააკაშვილისა და მისი ერთპიროვნული მმართველობის წინააღმდეგ. ეს ლოგიკურია, თუმცა ვერც იმას უარვყოფთ, რომ ოქტომბრის არჩევნებში გადამწყვეტი როლი თავად ივანიშვილის ფიგურას ეკისრება — ცოდვა გამხელილი სჯობს, საქართველოში ხომ ჯერ არც „მესიანიზმია“ დაძლეული და არც სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკური კულტურის მხრივ, განვითარების უმაღლეს საფეხურზე. ამ ფონზე, გასაკვირი არცაა, რომ პრემიერს აღარ სურს, შეასრულოს ისეთი ადამიანის როლი, რომელზედაც საქართველოს მოსახლეობა იმედებს დაამყარებს. ამას კი, როგორც ირკვევა, ერთადერთი მიზეზი აქვს — **„ერთ კაცზე ჩამოკიდებული ქვეყანა კვლავ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს სვლას!“** „მესიანიზმის“ დასამარცხებლად კი, არსებული მესიის დამარცხება არასაკმარისია — **„აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე, ამიტომ უნდა წავიდე სწორედ ახლა“,** — აცხადებს ივანიშვილი და გვიმხელს, რომ მისი დარჩენა მთავრობის მეთაურად საზიანო იქნება მომავლისთვის.

გეზი საზოგადოებრივი სექტორისკენ აქვს აღებული, ამ სფეროში აქტიურობას გეგმავს და აპირებს, მუდმივი კავშირი ჰქონდეს ახალგაზრდობასთან, რომლის წიაღშიც მომავალი ლიდერები დაიბადებიან: **„ვაპირებ, ბევრი ვიმუშაო ახალგაზრდობასთან, რათა გაიზარდოს მათი აქტიურობა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. როცა მუდმივი საკადრო შიმშილის პირობებში ვიმყოფებით, ეს იქნება ნოყიერი საკადრო რესურსი, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორისთვის“.**

ახალგაზრდების პარალელურად, მიმდინარე პროცესებში ჩართვისა და თავისი წილი პასუხისმგებლობის აღებისკენ ივანიშვილი საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მოუწოდებს: **„ქართული საზოგადოება რომ შედგეს, როგორც რაციონალური, გააზრებულ საკითხებზე მოკამათე და არა ემოციურად ერთმანეთის მძაგებელი ან მაკრიტიკებელი, აუცილებელია, თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს საქართველოს ყველა მოქალაქემ. ერთად უნდა გამოვიდეთ ლოდინის რეჟიმიდან და აქტიურად ჩავერთოთ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში... არ შეგვეშალოს და ჩვენი შეცდომები ევროპასა და ამერიკას არ გადავაბრალოთ. პირიქით, ჩვენი უუნარობით და არასწორი ქმედებით მივეცით საშუალება ჩვენს არჩეულ მთავრობას, ჩვენივე ფულით დაქირავებული ლობისტებით, ქვეყანაში არსებული არნახული ძალადობა და კანონის უზენაესობის ფეხით გათელვა გარეთ დემოკრატიად გაეყიდათ“.**

**„2 წლის წინ სხვა გამოწვევა ჰქონდა ქვეყანას და მეც იქ დავდექი, სადაც საამისოდ ყველაზე მეტის გაკეთება შემეძლო. დღეს სხვა გამოწვევა აქვს და მეც ამ გამოწვევის შესაბამისად უნდა მოვიქცე“,** — ამ ფრაზით, კიდევ ერთხელ დააანონსა პრემიერმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ და ლოგიკურია, საზოგადოებაში ახალი კითხვები გაჩნდა — როგორი იქნება ქართული რეალობა პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ? ვინ აიღებს ხელში ქვეყნის მართვის სადავეებს და რა კურსს დაადგება დღევანდელი მეთაურის გარეშე დარჩენილი მთავრობა? ივანიშვილმა ყველა ამ კითხვას უპასუხა და გარკვეული პირობაც დადო — **„ვიძლევი გარანტიას, ის ვალდებულება, რომელიც მაქვს — მთავრობა დარჩეს ეფექტური, ევროპული ტიპის, არაკორუფციული, ქვეყნის სწორი მიმართულებით წამყვანი — შენარჩუნებული იქნება “.**

რაც შეეხება მათ, ვინც უშუალოდ აიღებს ხელში ქვეყნის მართვის სადავეებს, ივანიშვილი გვპირდება, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ღირსეული პიროვნება იქნება: **„ახალი პრემიერ-მინისტრი, გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო პიროვნება იქნება, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას“.**

პრემიერი დარწმუნებულია, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს გუნდიც კარგად გაართმევს, აკი, ხშირად ამბობს, კარგი მინისტრები გვყავს, მათი მუშაობით კმაყოფილი ვარო და „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის პიროვნებით აღფრთოვანებას ვერ მალავს — დარწმუნებულია, რომ ეს უკანასკნელი ქვეყნის პირველი პირის სავარძელში მოკალათდება. **„საზოგადოებას შევთავაზეთ ევროპული ღირებულებების მატარებელი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც თავისუფალია ტრადიციული, მესიანისტურ-ავტორიტარული მიდრეკილებებისგან“,** — აცხადებს ივანიშვილი და პირობას დებს, რომ იმ ადამიანებთან ერთად, ვისზედაც იმედებს ამყარებს, ყველა დასახულ მიზანს მიაღწევს, მათ შორის უმთავრესს — **„სამართალს აღვასრულებთ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ამის დადებით შედეგებს, საზოგადოება დიდხანს მოიმკის“.**

ივანიშვილმა ისიც გათვალა, რომ პოლიტიკიდან მისი წასვლის შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ, არაერთი ადამიანი გააკრიტიკებდა და მათი მისამართით წერს: **„ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი სამშობლოს, ნუთუ ვინმეს აზრად აქვს, რომ მას ყველაზე კარგ, წყნარ დროს ზურგს შევაქცევ და არ გავაკეთებ მაქსიმუმს ჩემი ქვეყნისთვის? „სხვაგან“ კი არ მივდივარ, „აქვე“ ვრჩები და მხოლოდ ჩემი საზოგადოებრივი ფუნქციებისა და როლის ოპტიმიზაციას ვაპირებ, რათა: ა) დავიხარჯო იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად ვჭირდები ქვეყანას; ბ) პოლიტიკურ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს გადავუნაწილო ძალაუფლება და პასუხისმგებლობა... საზოგადოების იმ ნაწილში კი, ვისაც აშფოთებს პოლიტიკიდან ჩემი წასვლა, ბევრია ისეთი, ვისაც არ სურს, პასუხისმგებლობა აიღოს საერთო პროცესებზე“.**

ივანიშვილი „ქართული ოცნების“ გამარჯვების მიზეზებსაც იხსენებს და ამბობს, რომ წარმატება ერთადერთ რამეს ეფუძნებოდა — ურთიერთნდობას, ამ გამოცდილებით კი მოქალაქეებს სთხოვს, ნდობით მოეკიდონ მის გადაწყვეტილებას და გვერდით დაუდგნენ, რაც მათი მხრიდან, **„საქართველოს საზოგადოების განვითარებისთვის წინგადადგმული და წარმატებული ნაბიჯი იქნება“.**

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა გამოცდილება ქართული საზოგადოების შეცნობის კუთხითაც მიიღო, იცის, რომ სამწუხაროდ, რეალობის შეცნობა ბევრს არ სურს თუ ვერ ახერხებს და „ყველაზე სკეპტიკოსებსაც“ მიმართა: **„მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის საჭიროება არ დადგება — თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას“.**

რაც შეეხება პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის კონკრეტულ თარიღს, პრემიერი გვპირდება, რომ მას საზოგადოებას წინასწარ ამცნობს. ოღონდ, ეს არ მოხდება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მეტიც — მანამ არ წავა პოლიტიკიდან, სანამ არ დარწმუნდება, რომ **„წარმატებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი მწყობრად მუშაობს და ქვეყანა სტაბილურად ვითარდება“.**

ვერსიანიუსი

## საქართველოსა და შვედეთის პარლამენტები მასშტაბურ თანამშრომლობას გეგმავენ



საქართველოსა და შვედეთის პარლამენტები მომდევნო 18 თვის განმავლობაში მასშტაბურ თანამშრომლობას გეგმავენ. შვედეთის პარლამენტის რვავე პარტიის წარმომადგენელი საქართველოში ჩამოვა და საქართველოში ყველა პარტიის წარმომადგენელს შეხვდება. თანამშრომლობა შედგება როგორც პარლამენტებს შორის, ასევე ინდივიდუალურად: პარლამენტარებს, ფრაქციებსა და კომიტეტებს შორის. ამის შესახებ საქართველოსა და შვედეთის პარლამენტების თავმჯდომარეები დავით უსუფაშვილი და პერ ვესტერბერი შეთანხმდნენ.

**„შვედეთის პარლამენტში წარმოდგენილი რვა პარტიიდან შვიდი პარტია ანუ პარლამენტის შემადგენლობის 90%-ზე მეტი ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას უჭერს მხარს. ისინი მომხრე არიან, რომ ახალი ქვეყნები, თუკი ისინი გარკვეულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, ევროკავშირის წევრები გახდნენ. შვედეთის პარლამენტი დიდ ყურადღებას აქცევს „აღმოსავლეთ პარტნიორობას“. შვედეთი, პოლონეთთან ერთად, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატორი იყო, ამიტომ მხარს ვუჭერთ თანამშრომლობის განვითარებას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან. მსურს, აქვე მოვიტანო გერმანიის ყოფილი კანცლერის, ჰელმუნდ კოლის სიტყვები, რომელმაც განაცხადა: თუ გსურთ, თავი იგრძნოთ დაცულად, უსაფრთხოდ, თქვენი მეზობლები უნდა იყვნენ თქვენი მეგობრები და თქვენ დაცულად და მეგობრულად თავს იგრძნობთ მაშინ, როცა ამ ქვეყნებში იქნება სათანადო ეკონომიკური განვითარება“,** — განაცხადა პერ ვესტერბერმა.

შვედეთის პარლამენტის დელეგაცია, პარლამენტის სპიკერის ხელმძღვანელობით, საქართველოში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო შეხვედრები პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან, საპარლამენტო ოპოზიციასთან და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან.

*„ინტერპრესნიუსი“*



# „ივანიშვილი იანვარში კი არ წავა, უკვე წასულია!“

## გიორგი თარგამაძის სკანდალური ანალიზი და პროგნოზები

რუსუდან შელია
557-100-768

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს უმოქმედობაში ამხელს და ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას მთავრობის წევრებიც ველარ ახერხებენ, ამიტომაც გადაწყვიტა, საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით პრემიერისთვის ღია წერილის საშუალებით მიემართა. ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი, საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილს საზოგადოების წინაშე აღებულ მოვალეობებს ახსენებს და „ვერსიასთან“ მედიაში მიმდინარე პროცესებსაც აფასებს.**

— დღევანდელი ვითარება შტორმის დროს უმეთაუროდ დარჩენილ გემს მაგონებს, რომელსაც ტალღები და ქარიშხალი აქეთ-იქით ათამაშებს, საჭესთან კი არავინ დგას. ფაქტია, ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც გემისთვის სწორი მიმართულების მიცემის პასუხისმგებლობა აიღო, საჭეს მყარად ვერ იკავებს და უუნაროა, ბიძინა ივანიშვილი კი ფიქრობს, რომ მკაცრი კონცენტრირებული ძალაუფლებისა და კონტროლის გარეშე, სახელმწიფო უწყებები თუ სტრუქტურებიმ, თავისთავად, ინერციით იმუშავებენ. არადა, შესაძლოა, კატასტროფულ შედეგებამდე მივიდეთ. ივანიშვილი პოლიტიკიდან იანვარში კი არ წავა, პოსტიდან უკვე წასულია, რადგან დიდი ხანია თავის მოვალეობას აღარ ასრულებს — ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ ასაჯაროებს და საზოგადოებასთან კონტაქტსაც ერიდება. მთავრობის მართვის პროცესი ჩაშლილია — დიდი ხანია სხდომები კანცელარიაში აღარ იმართება. ივანიშვილსა და მის ახლო გარემოცვას შევახსენებ, საქართველო ფინანსური კორპორაცია არ არის, რომლის ხელმძღვანელებიც კვარტალში ერთხელ, დახურულ კარსმიღმა უნდა იკრიბებოდნენ. ეს საჯარო პოლიტიკის უმაღლესი მწვერვალია და ხელისუფლება ვალდებულია, ქვეყნის მართვის პროცესი გამჭვირვალე იყოს. ივანიშვილისთვის პრემიერის თანამდებობა სამსახურია და იგი ამ პოსტზე ქართველმა ხალხმა დაიქირავა, თუმცა ვხედავთ, რომ მისი მხრიდან თვითიზოლაციის პროცესი უფრო ღრმავდება. ურეკში მისი რეზიდენცია არამხოლოდ მედიისთვის, სამთავრობო პირებისთვისაც შეუღწევადი გახდა.

**— პრემიერი არც მალავს, რომ არ სურს, მასზე დამოკიდებული გუნდი ჰყავდეს. ის პატიოსან სიტყვას გვაძლევს, რომ მისი წასვლის შემდეგაც მთავრობა ქმედითი იქნება და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს.**

— თუ პრემიერი ვერ აანალიზებს, რომ საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელსაც სტრატეგიული პრობლემების მოგვარების პროცესში მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა და ზედამხედველი სჭირდება, საკმაოდ საშიშ მოვლენასთან გვაქვს საქმე. კაცმა არ იცის, რამდენადაა ინფორმირებული პოლიტიკურ პროცესებზე ივანიშვილი, რადგან მნიშვნელოვან მოვლენებზე მის რეაქციებს საზოგადოება ხუთდღიანი დაგვიანებით იგებს. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ საქართველოს მმართველი არ ჰყავს! ქართველები ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოვჩნდით — 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის ერთპიროვნულ მმართველობას ვუყურებდით, რომელიც ყველაფერში ცხვირს ყოფდა, ივანიშვილის მმართველობის პერიოდში კი, ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. ეს ივანიშვილის მორიგი ექსპერიმენტია.

**— ბიძინა ივანიშვილის ექსპერიმენტი მთავრობის ინერციით მუშაობის შესახებ, საზოგადოების თმენის გამოცდასაც გულისხმობს?**

— დიახ, ივანიშვილი ქართულ საზოგადოებასა და სამთავრობო უწყებებზე გაურკვეველ ექსპერიმენტს ატარებს, მაგრამ სააკაშვილის შემდეგ ექსპერიმენტებს ქვეყანა ვერ გაუძლებს. ქვეყანაში საჯარო პოლიტიკა რომ დამკვიდრდეს, პრემიერს ღია წერილით მივმართე, რათა მედიასთან შეხვედრისას არ განგვიცხადოს, დაპირება შევასრულე, პენსია გაიზარდა და საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდაო. ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ საქართველო ღრმა სოციალურ კრიზისში იმყოფება, რაც სამართლიანი სოციალური სტანდარტის დამკვიდრების აუცილებლობას ითხოვს. შესაძლოა, ოპონენტებმა მითხრან, 250 ლარამდე პენსიის გაზრდის საშუალება სახელმწიფოს არ აქვსო, მაგრამ მზად ვარ, ყველას დავუმტკიცო, რომ დღევანდელ ბიუჯეტსაც კი აქვს შესაძლებლობა, ამ ნიშნულამდე სწრაფი ტემპებით ვიაროთ. სამწუხაროდ, ივანიშვილის გუნდს სააკაშვილისდროინდელი მმართველობა მოსწონს და ხალხზე ზრუნვას უახლოესი მოდელის მანქანების შეძენა ურჩევნია. რა აუცილებლობას წარმოადგენდა ყველა მინისტრისთვის, მათი მოადგილეებისა თუ დეპარტამენტების უფროსებისთვის ძვირადღირებული ავტომობილების შეძენა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სააკაშვილის მთავრობის წევრების ნახმარი მანქანით გადაადგილება არ სურთ. ჩვენ ზედმეტად კარგად მცხოვრები და ძვირი მთავრობა გვყავს, რაც საქართველოში საერთო სოციალური ფონის გათვალისწინებით, აბსოლუტურად არაადეკვატურია. ამიტომ ვამბობ, ივანიშვილმა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები სტაფილოს წვენის მირთმევისას კი არ უნდა გაიგოს, როცა პრესცენტრი მცირე ამოკრებილ ინფორმაციას მიაწვდის, საზოგადოებასთან მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეს.

**— ახლა, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს იმეორებთ, რომელმაც პრემიერს ხალხში გასვლა ურჩია, რადგან მისი გარემოცვის ვიწრო წრე სრულ ინფორმაციას არ აწვდის.**

— ბუნებრივია, როცა ქვეყანაში პრობლემები გროვდება, მასზე პასუხისმგებელი კონკრეტული თანამდებობის პირები ცდილობენ, მთავრობის ხელმძღვანელს ინფორმაცია არ მიაწოდონ ან საკუთარი ინტერპრეტაციით შესთავაზონ, რათა მისი გულისწყრომა არ დაიმსახურონ. ეს საკმაოდ ბუნებრივი რეაქციაა, თუმცა დასანანია, რომ ივანიშვილი ობიექტური სურათის მიღებას ალტერნატიული წყაროებიდან ვერ ახერხებს და მხოლოდ გუნდის ვიწრო წრეზეა დამოკიდებული. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის პოლიტიკურ გამოუცდელობაზე, მსგავს მდგომარეობაში კი გადაწყვეტილების მიღება ბნელ ოთახში ხელების ცეცებას ჰგავს. ხელისუფლების ფატალური შეცდომები ნელ-ნელა ამოტივტივდება. უცებ არც სააკაშვილის რეჟიმის ნაკლოვანებები გამჟღავნებულა, რაშიც ჟურნალისტებმა საგამოძიებო სიუჟეტების მომზადებით საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

**— წინასაარჩევნოდ მედიასივრცეში გავლენების გადანაწილების პროცესიც შეაფასეთ — რა გავლენას მოახდენს მედიაბაზარზე „მეცხრე არხის“ დახურვა და „ინფო 9“-ის ხელმძღვანელებისთვის ჩუქება?**

— არ მაქვს ილუზია, რომ გაჩნდება ტელევიზია, რომელიც ყველა ინტერესისგან დაცლილი იქნება, ფინანსებს ციდან მიიღებს და მის სარედაქციო პოლიტიკაშიც არავინ ჩაერევა. საქართველოში სერიოზული ტელევიზიის ფუნქციონირება დიდი ფულის გარეშე შეუძლებელია, რადგან სარეკლამო ბაზარი ძალიან მცირეა და პოტენციური აუდიტორიაც მსხვილი ტელეკომპანიის რენტაბელობისთვის აუცილებელ რაოდენობას ორჯერ ჩამოუვარდება.

**— ტელევიზიებში პოლიტიკური დაკვეთა თქვენთვის გამართლებულია?**

— დიახ, თანამედროვე ქართული ტელევიზიები მაუწყებლობის ხარისხს ვერ შეინარჩუნებენ, თუ მასში პოლიტიკური ინვესტიციები არ ჩაიდო. ეს რეალობაა! სააკაშვილის პირობებში ინფორმაციის მონოპოლიზება სრულად ვერ მოხერხდა, რადგან მედიაბაზარზე ტელეკომპანია „იმედი“ გამოჩნდა, რომელსაც უკან ფინანსურად ძლიერი ბადრი პატარკაციშვილი ედგა. სწორედ ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, სრულიად გაუგებარია ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომელიც ტელევიზიების დახურვისკენაა მიდრეკილი. ახლა ნელ-ნელა კვლავ ერთი მედიაპოლუსისკენ მივდივართ, რადგან დანამდვილებით ისიც არ ვიცით, კიდევ რამდენ ხანს შეძლებს პატარკაციშვილების ოჯახი „იმედის“ დაფინანსებას.

**— მედიაში განხორციელებული ცვლილებების მიზნად „იმედის“ გაძლიერება დასახელდა. თუ პატარკაციშვილების ოჯახი ტელეკომპანიის დაფინანსებას აღარ გააგრძელებენ, „იმედში“ ხელისუფლების ინტერესების ამოტივტივებას უნდა ველოდეთ?**

— არ ვიცი, რა შეთანხმება არსებობს „იმედის“ ირგვლივ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი მფლობელებიც ფიქრობენ, რომ მათი ანგარიშიდან ტელევიზიის დაფინანსება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ჩემს მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ტელევიზიას უცხოელი მენეჯერი ყავს. მედიაში მიმდინარე პროცესები არჩევნებზეც ნეგატიურ გავლენას მოახდენს და წინასაარჩევნო პროცესსაც, პლურალიზმის კუთხით, უფრო დაამძიმებს. სხვათა შორის, პრემიერის გადაწყვეტილება მის მფლობელობაში არსებული ტელეკომპანიის დახურვის შესახებ არგუმენტებით სულაც არ არის გამყარებული. მართალია, ბერლუსკონისაც ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მას საკუთარი ტელევიზია ჰქონდა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში, მსგავსი კრიტიკა რელევანტური არ იქნება. კერძოდ, პრემიერმა განაცხადა ოფიციალურად მივდივარ პოლიტიკიდანო. გამოდის, ტელევიზიის დახურვა პოლიტიკური გადაწყვეტილებად ვერ ჩაითვლება. თანაც, მისი პრემიერობის შემთხვევაშიც ტელევიზიის შენარჩუნების საკმაოდ აპრობირებული მეთოდი არსებობს. კერძოდ, დამოუკიდებელი და თავისუფალი ბორდ-ის ჩამოყალიბება იმის გარანტია იქნებოდა, რომ ტელეკომპანიის სარედაქციო საქმიანობაში არავინ ჩაერევა. პატარკაციშვილის წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანა რომ ამუშავდა, ტელეკომპანიის გადასარჩენად ბორდ-ის შექმნა გადავწყვიტეთ, წევრების სიაც ჩამოვწერეთ, სოსო ცისკარიშვილსა და ია ანთაძესთან მოლაპარაკებებიც დაწყებული გვქონდა... ახლაც დაახლოებით იგივე პროცესი მიმდინარეობს, რაც 2007 წელს. მამუკა ღლონტის განცხადებაც ცხადყოფს, რომ მედიაში გავლენების მოპოვებას ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად ცდილობენ და ამას ველოდი კიდეც. მოულოდნელი ის იყო, რომ პოლიტიკურმა ელიტამ ასე სწრაფად გამოამჟღავნა ნამდვილი სახე. ახლა მთავარია, მამუკა ღლონტმა იმ ადამიანების ვინაობა საჯაროდ დაასახელოს, რომლებიც ტელეკომპანიაზე ზეწოლას ახორციელებენ, ეს იქნება ერთი ნაბიჯი იმისთვის, რომ პროცესი არ გაგრძელდეს.

## ვერსიანიუსი

### „საქართველო არ არის უკრაინა და ამის დამტკიცების შანსი უნდა მიეცეს“




ამ სათაურით აქვეყნებს ევროპული გამოცემა The Parliament კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩევლის ლინკოლნ მიტჩელის სტატიას საქართველოზე.

მიტჩელი აღნიშნავს, რომ ზედაპირული მსგავსება საქართველოსა და უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრების – ვანო მერაბიშვილისა და იულია ტიმოშენკოს დაკავებებს შორის, არ უნდა იქცეს საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერის ძირის გამოთხრის მცდელობად. **„წულუკიანს შევხვდი. ცოტა არ იყოს, ვღელავდი. არ ვიცოდი, რა მოლოდინი უნდა მქონოდა, რადგან როგორც იუსტიციის მინისტრი, ის ყველაზე მეტად იყო გაიგივებული ახალი ხელისუფლების მიერ ძველი მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებების ტალღასთან. ამ დაპატიმრებებმა ევროკავშირისა და ევროპის საჯარო კრიტიკა გამოიწვია და ახალი მთავრობა საერთაშორისო იმიჯის გაძლიერების პრობლემის წინაშე დააყენა“,** — წერს მიტჩელი და დასძენს, რომ წულუკიანი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულების გამოძიებისას, ბევრად განსხვავდება წინა ხელისუფლების არადემოკრატიული რეჟიმის აღმასრულებლისგან, რომელმაც ქვეყანა მაშინვე დატოვა, როგორც კი მისი პარტია დამარცხდა.

მიტჩელის თქმით, წულუკიანის განმარტებით, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება არ იყო პოლიტიკური რევანში, არამედ იყო კანონის უზენაესობის აღდგენა ქვეყანაში: **„ჩემი შეშფოთება კიდევ უფრო გამძაფრდა, როცა მე და წულუკიანი იმ ოთახში შევედით, სადაც ქართული საზოგადოება იყო თავმოყრილი. ოთახში შეკრებილი ქართველები გაბრაზებულები ჩანდნენ და წულუკიანისთვის დაკავებების შესახებ უნდოდათ შეკითხვების დასმა. თუმცა, ისინი უფრო მეტად იმაზე ბრაზობდნენ, რომ ახალი ხელისუფლება საკმარის ხალხს არ აკავებდა და ძალიან იყვნენ დაინტერესებული სასამართლოს დეტალებით. სწორედ ამაში მდგომარეობს ის უთანხმოება, რომელიც საქართველოში კანონის უზენაესობის დამყარების გარშემოა ატეხილი“.**

როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარი აღნიშნავს, პრორუსული ძალების მიერ დამარცხებული პოპულარული დასავლელი ლიდერები საქართველოს დემოკრატიისგან დაშორებას ცდილობენ: **„თუმცა, ეს მოდელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყანას – უკრაინას ერგება, თანაც საკმაოდ კარგად. ასე რომ, მისი საქართველოსთვის მორგების ცდუნება გაუგებარია. საქართველოსთვის უკრაინული მოდელის მორგება აშკარად გამოიხატება ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავების შედარებით უკრაინის ექსპრემიერის იულია ტიმოშენკოს დაკავებასთან. მსგავსება ნათელია – ორივე ყოფილი პრემიერი ხელისუფლების შეცვლიდან ცოტა ხანში დააკავეს, მაგრამ ამ მსგავსებებმა არ უნდა გადაფაროს სხვაობა მხოლოდ იმიტომ, რომ ტიმოშენკო, მეტწილად, შეთითხნილი ბრალდებებითაა დაკავებული, არ ნიშნავს, რომ ყველა დაკავებული ყოფილი პრემიერი მსგავს მდგომარეობაშია“.**

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა და საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ის ხალხი დაამარცხეს, რომლებიც ერთ დროს ერთობ პოპულარულები იყვნენ დასავლეთში, მათ შორის მცირე მსგავსებაა. კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ კანონის უზენაესობის აღდგენის ძალისხმევა არ იქნება წარმატებული, თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ისე უნდა დასაჯოს დამნაშავეები, რომ ქვეყნის განვითარება არ შეჩერდეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

რუსუდან შელია
557-100-768

# იაშვილის კლინიკის სკანდალის გაუხმაურებელი დეტალები

**მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს თანამშრომლები კლინიკის ახალ დირექტორს თურქ თექინ ატიკს დაუპირისპირდნენ. მედპერსონალი მას უნდობლობას უცხადებს და ექიმების შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. ექიმებმა 2 სექტემბერს კლინიკის წინ საპროტესტო აქციაც მოაწყვეს, სადაც თურქ დირექტორს არაერთი ბრალდება წაუყენეს. „ვერსია“ დაინტერესდა, რეალურად, რა მოხდა იაშვილის კლინიკაში ან რატომ გაიყიდა ბავშვთა საავადმყოფო ისე, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არც ჯანდაცვის და არც ეკონომიკის სამინისტროს არ ჰქონდა.**



## რატომ გასხვისდა ბავშვთა კლინიკა ერთ ლარად და როგორ შეურაცხყოფდა საავადმყოფოს თურქი დირექტორი ექიმებს?

2010-2012 წლებში, როცა საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მითითებით, საქართველოში არსებული ყველა კლინიკა გაიყიდა, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო შპს „არტესს“ ერთ ლარად გადაეცა. აღნიშნული კომპანიის უკან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და შპს „აკრესისა“ და „ეივენთ ჰოსპიტალ გრუპის“ დამფუძნებელი ზაზა კაპანაძე მოიაზრებოდნენ. ორივე, ცოტა ხნის წინ, ფინანსთა სამინისტროს სამსახურმა დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე ამხილა; მეტიც, „არტესი“ ის კომპანია გახლავთ, რომელმაც სიმულაციის ცენტრის მშენებლობის ვალდებულება აიღო. დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სიმულაციის ცენტრის დათვალიერებისას გაირკვა, რომ მშენებლობის დროს უამრავი ხარვეზი და შეცდომაა დაშვებული, რის გამოც სამედიცინო ცენტრი დღემდე ექსპლოატაციაში ვერ შევიდა, არადა აქ ასეულობით სამედიცინო მუშაკს განათლება უნდა მიეღო ან კვალიფიკაცია აემაღლებინა. მოგვიანებით ისიც ითქვა, რომ გია ნაცვლიშვილისა და ზაზა კაპანაძის უკან იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი, საკაშვილის „პირად ბულალტრად“ მოაზრებული დავით კეზერაშვილი იდგნენ...

2013 წლის 5 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ იაშვილის ბავშვთა კლინიკა თურქულ-გერმანულმა კომპანიამ „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპმა“ შეიძინა. ზოგადად, წინა ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული კლინიკები მყიდველთან კაბალური ხელშეკრულებების საფუძველზე გასხვისდა, საბოლოოდ კი, ქვეყანაში შემდეგი ვითარება შეიქმნა: დღეს სახელმწიფოს პროცესების გასაკონტროლებლად ბერკეტი არ გააჩნია, მყიდველს კი უფლება აქვს, რამდენიმე წლის შემდეგ შესყიდული კლინიკა საერთოდ გააუქმოს და შენობაში კაზინო ან გასართობი სხვა დაწესებულება გახსნას.

**როგორც იაშვილის მედპერსონალი ყვება, 2013 წლის პირველ სექტემბერს, გამთენიისას, „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ თურქი წარმომადგენელი თექინ ატიკი იაშვილის კლინიკაში ნასვამ მდგომარეობაში მივიდა, ერთ-ერთ ექიმს ხელი გაარტყა და სათვალე დაუმტვრია. კლინიკის თანამშრომლები ასევე აცხადებენ, რომ ახალმა დირექტორმა კლინიკიდან ხატების გატანა მოითხოვა და მედპერსონალს ჯვრის ტარებასაც უკრძალავდა.**

მოგვიანებით, სათვალთვალო კამერით გადაღებული კადრებიც გავრცელდა, სადაც, სავარაუდოდ, იაშვილის კლინიკის ინვესტორი თექინ ატიკი არაფხიზელ მდგომარეობაშია დაფიქსირებული. როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას კლინიკის თანამშრომელი, რეანიმატოლოგი **მარინა ფირცხალავა** აცხადებს, ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა თურქმა დირექტორმა ექიმებს შეურაცხყოფა მიაყენა: „საღამოს **10 საათზე, როცა ახალი თურქი დირექტორი კლინიკაში ნასვამ მდგომარეობაში მოვიდა, კატასტროფის ექიმთა ბრიგადამ გორიდან 8 წლის პაციენტი ქალა-ტვინის დაზიანებით შემოიყვანა. ექიმი ირაკლი სწორედ ამ მძიმე პაციენტს მაბარებდა და დისკიც გადმომცა, რომელზეც ავადმყოფის ტომოგრაფიული სურათი იყო ჩაწერილი. ამ დროს თექინ ატიკი მოვიდა და ირაკლის ჩხუბი დაუწყო. თურქული არ ვიცით, ვერ მივხვდით, რას გვეუბნებოდა, მით უმეტეს, გაუგებარი იყო, რატომ ეჩხუბებოდა ირაკლის, რომელსაც პირველად ხედავდა. არც ირაკლი ექიმმა იცოდა, ვინ იყო ეს ადამიანი. ვითარების განსამუხტად, ექიმი იქაურობას გავარიდე და დირექტორს ჩაის დალევა შევთავაზე. როცა ჩაიზე უარი მითხრა, ვუპასუხე, მაშინ პაციენტს მივაქცევ ყურადღებას-მეთქი, მან კი ხელი მომკიდა და საორდინატოროსკენ ძალით წამიყვანა. შემდეგ მიბრძანა, ხელში რომ დისკი გიჭირავს, კომპიუტერში ჩართეო. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვუხსნიდი, რომ კომპიუტერს, რომელიც მოძველებულია, დისკის ჩასადები არ აქვს, ის კი ხმას უფრო და უფრო უწევდა. იქვე მდგომმა ექიმმა გია გოგოტიშვილმა უთხრა, აქ დისკს ვერ ჩავდებთ, მეოთხე სართულზე ჩავიდეთ და იქ ვნახოთო, მან კი გინება დაიწყო და თან მაგიდაზე მუშტებს ურტყამდა. ვერც კი წარმოიდგენთ, იქ რა ხდებოდა, თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ არის. ღამის 3-4 საათზე მოდიოდა, ექიმებს ცინიკურად გველაპარაკებოდა, შეურაცხყოფას გვაყენებდა და საერთოდ, პირველივე დღიდან როგორც პლანტატორი ისე იქცეოდა. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენ ბამბის პლანტაციის მონები არ ვართ“.**

აღსანიშნავია, რომ იაშვილის ბავშვთა კლინიკასთან ერთად, თურქული კომპანია „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ მფლობელობაშია ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა, პედიატრიის, ალერგოლოგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი, ქალთა სამედიცინო ცენტრი „ახალი სიცოცხლე“ და ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრიც. ჰოლდინგში შემავალი თითქმის ყველა კლინიკის თანამშრომლები იაშვილის საავადმყოფოს დასაქმებული კოლეგებს აზრს იზიარებენ.

**თემურ მელქაძე,** ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის პედიატრი: **„კლინიკის თურქი დირექტორი დაბალი დონის ადამიანია, რომელთანაც მედპერსონალი ელემენტარულ ურთიერთობასაც ვერ ამყარებდა. თექინ ატიკი კლინიკაში ღამის საათებში მოდიოდა, ძირითადად იმ დროს, როცა მამაკაცები კლინიკაში არ არიან და მორიგე ქალები მუშაობენ. პირველივე დღეს განაცხადა, კლინიკას თურქული სახელი უნდა დავარქვათ, ექიმებმა კი თურქული ენა უნდა შეისწავლოთო, ხატების ჩამოხსნაც მოითხოვა, ბოლოს კი გვითხრა, კვალიფიკაცია თურქეთში უნდა აიმაღლოთო. პირადად მე, ნამდვილად არ მჭირდება თურქეთში კვალიფიკაციის ამაღლება, რადგან კარგად ვიცი, რომ ჩვენზე მაღალი დონე მედიცინის მიმართულებით იქ არ არის. თურქეთიდან ჩამოსულ პაციენტებსაც საკმაოდ ხშირად ვიღებთ. როგორც ვიცი, თურქ ინვესტორებს კლინიკების შესაძენად ჯერ თანხა არ გადაუხდიათ, ამიტომ ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნით მივმართეთ, იქნებ ინვესტორთან ხელშეკრულება არ გაფორმდეს და კლინიკა სახელმწიფო ბალანსზე გადაიყვანონ“.**

თავად თექინ ატიკი ექიმებისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, თუმცა თანამშრომლების თანდასწრებით მაგიდიდან კომპიუტერის გადმოგდების ფაქტს ადასტურებს. მისივე განცხადებით, კლინიკების ჰოლდინგი თურქულმა კომპანიამ კანონის სრული დაცვით შეიძინა: **„ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გადაამოწმოს, რამდენად კანონიერად იყო შეძენილი ეს ქონება. ყველაფერი კანონიერად გავაკეთეთ. პირველივე დღიდან საავადმყოფოში მომუშავე პერსონალთან შეხვედრა გვინდოდა, მაგრამ გამყიდველმა გვითხრა: სანამ არ გაიყიდება, საჭირო არ არის, მოვილაპარაკოთ და შემდეგ, ვისაც გინდათ, იმას ელაპარაკეთო. რაც შეეხება კომპანია „არტესს“, მას ჩვენ არ ვიცნობთ. საერთოდ, წარმოდგენა არ მაქვს, ვისზეა საუბარი. ქონების შეძენის პირველივე დღიდან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით ქონების მფლობელებთან. „ჰოსპიტალ გრუპი“ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხელმძღვანელ პირებთან — გია ნაცვლიშვილსა და ზაზა კაპანაძესთან, რომლისგანაც კლინიკა ვიყიდეთ. შემდეგ შევიტყვე, რომ ამ ადამიანებს სამართალდამცავებთან პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ჩვენმა ადვოკატებმა გვითხრეს, რომ საქმე საავადმყოფოებს კი არა სამშენებლო კომპანიას ეხებოდა“.**

სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების ხელმძღვანელი არჩილ მორჩილაძე მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან კონფლიქტით ინვესტორი საკუთარ თავს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში მორჩილაძის აზრს ექიმი, კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის დეკანი ვატო სურგულაძეც იზიარებს, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს, როგორ გასხვისდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები: **„ჩანს, „მეორე სორტის“ ადამიანები ვართ. ცოტა ხნის წინ, თურქეთში გახლდით, სადაც ექიმებისთვის ხმის ოდნავ აწევასაც კი ვერავინ ბედავს. ჩვენთან მედპერსონალის უფლებები ილახება. არ აქვს მნიშვნელობა, რა ტექნიკას შემოიტანს ინვესტორი კლინიკებში ან რა რაოდენობის თანხას დააბანდებს. მთავარი ექიმების ღირსების შენარჩუნებაა, ამიტომ თუ იაშვილის კლინიკის დირექტორი მართლაც ასე მოექცა თანამშრომლებს, საზოგადოება ფეხზე უნდა დადგეს, პარალელურად კი, სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს, როგორ გაერთიანდა ვითომ ჰოლდინგში ამდენი კლინიკა“.**

სამედიცინო სკანდალს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოც გამოეხმაურა. მისი თქმით, თუ საჭირო გახდება, კანონი „სტრატეგიული ობიექტების შესახებ“ ამოქმედდება, რაც საშუალებას იძლევა, სახელმწიფომ ლეგალურად და სტრატეგიულად გამოიყენოს უფლებები კლინიკების სტანდარტულ რეჟიმში სამუშაო გარემოს შესაქმნელად. შეიძლება, კლინიკაში იძულებითი მმართველიც შევიდეს: **„კანონი და სამართალი ზოგჯერ ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის. იაშვილის კლინიკა იყო და რჩება კერძო საკუთრებად და მის მფლობელს შეუძლია, ეს დაწესებულება ისე გაასხვისოს, სახელმწიფოს არაფერი ჰკითხოს, თუმცა არსებობს სახელმწიფო ინტერესი, რომელსაც ქვეყანა კერძო პირების სასარგებლოდ არ დათმობს. შესაბამისად, შესაძლოა, „სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების“ შესახებ კანონის ამოქმედებაც გახდეს საჭირო“.**

ჯანდაცვის მინისტრი იაშვილის კლინიკაში მიმდინარე პროცესებს გარედან მართულად აფასებს — მართლაც, თურქი ინვესტორისა და მედპერსონალის დაპირისპირების პარალელურად, კლინიკის ყოფილმა დირექტორებმა ვითარებით სარგებლობა გადაწყვიტეს, რადგან მიხვდნენ, რომ შესაძლოა, თურქმა ხელმძღვანელმა ისინი თანამდებობებზე აღარ დატოვოს და მედპერსონალის ნაწილის გადაბირება დაიწყეს, რათა მათ კლინიკაში ძველი ხელმძღვანელობის დაბრუნების საკითხი დაეყენებინათ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ექიმების ერთი ნაწილი სახელმწიფოსთვის კლინიკების დაბრუნებას ითხოვს, ნაწილი კი ძველი ხელმძღვანელობის დაბრუნების მოთხოვნით გამოდის. ფაქტია, მსგავსი პროცესები ვიღაცას აწყობს, რათა ხელისუფლება მონსტრად წარმოაჩინოს, შემდეგ თქვას, თითქოს მმართველი გუნდი ინვესტორებს პრობლემებს უქმნის და ისინი საქართველოდან გარბიან.

## ვერსიანიუსი



### პენსია და დახმარება 1 272 250 პირს გაეზარდა

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, სექტემბრიდან მინიმალური პენსია იზრდება.

მინისტრის განცხადებით, ასაკის პენსიონერთათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი რაოდენობა 125-დან 150 ლარამდე იზრდება. პენსიის მატება შეეხება 681 392 პენსიონერს.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსიაც (I ჯგუფის ინვალიდი) — 125-დან 150 ლარამდე გაიზრდება.

პენსიის მატება შეეხება 21 892 პირს, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია კი (II ჯგუფის ინვალიდი) — 70-დან 100 ლარამდე მოიმატებს. პენსიის მატება შეეხება 72 200 პირს, ასევე ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პენსია 70-დან იზრდება 100 ლარამდე, მატება შეეხება 12 921 პირს.

მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრების სოციალური პაკეტი 55-დან გაიზრდება 100 ლარამდე, მატება შეეხება 26 700 პირს, პოლიტრეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის სოციალური პაკეტი 62-დან იზრდება 107 ლარამდე, მატება შეეხო 1 350 პირს, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 272-დან 292 ლარამდე გაიზრდება, მატება შეეხება 17 126 პირს.

მინისტრის განცხადებით, საერთო ჯამში, მატება შეეხო 1 272 250 პირს. დავით სერგეენკოს ინფორმაციით, 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სოციალური გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენდა 110 922 825 ლარს, 2013 წლის სექტმებრიდან აღნიშნული გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენს დაახლოებით 154 529 303 ლარს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ძველი პროკურორები თავად ხომ არ წავლენ ციხეებში?“

## რატომ არ მთავრდება გახმაურებული საქმეები ხალხისთვის მოსალოდნელი შედეგით



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. როგორც ორგანიზაციის იურისტმა, გია გვილავამ განაცხადა, ანგარიშში ასახულია ინფორმაცია 2013 წლის თებერვლიდან 19 ივლისამდე. მისივე თქმით, ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებიან სხდომებს, სადაც მაღალი თანამდებობის პირების — ბაჩო ახალაიას, გიგი უგულავას, დავით კეზერაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ირაკლი ოქრუაშვილის, ნიკა გვარამიას, თენგიზ გუნავას, მეგის ქარდავას, გეგი ქელბაქიანისა და არჩილ ჩოგოვაძის საქმეები იხილება.**

გვილავას განმარტებით, სასამართლო პროცესები უკვე დასრულებულია და საქმეებზე საბოლოო განაჩენებია გამოტანილი, თუმცა ანგარიშში მოხვდა დაუსრულებელი საქმეები: **„სასამართლო პროცესებზე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი დაცული იყო. დაცვასა და ბრალდებას საკუთარი პოზიციების გამოხატვის თანაბარი საშუალება ჰქონდათ. მათ შეეძლოთ, შეუფერხებლად ესარგებლათ საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით. ბრალდება, ძირითადად, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობოდა. სხვა მტკიცებულება ანგარიშის მომზადების მომენტამდე წარმოდგენილი არ ყოფილა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა“.**

გვილავას ინფორმაციით, კვლევის დროს რამდენიმე შემთხვევაში პროკურატურის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა მოგვიანებით ჩვენებები შეცვალეს, ასევე დაცვის მხარის ზოგიერთი წარმომადგენელი პროცესის შესახებ პოლიტიკურ განცხადებებს ავრცელებდა: **„პროცესებზე სასამართლომ სამჯერ გამოიყენა დისციპლინური ღონისძიება მხარეებისა და ბრალდებულის მიმართ. ყველა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულებს სასამართლო პროცესის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარება შესთავაზეს, მათ უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ საზოგადოებაში მათ შესახებ უკვე გარკვეული მცდარი აზრი იყო ჩამოყალიბებული, რაც ხელს შეუშლიდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას“.**

გია გვილავას თქმით, სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში წინასწარ არ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმ სხდომების შესახებ, რომლებზეც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი უნდა განხილულიყო. ასეთი პრაქტიკა კი, იურისტის აზრით, ხელს უშლის გახმაურებული პროცესების საჯაროობას:

**„ბაჩანა ახალაიას საქმეში, საზოგადოების დიდი ინტერესის არსებობის მიუხედავად, პროკურატურა შეეწინააღმდეგა სხდომის ვიდეოგადაღებასა და ამ გზით პროცესის გასაჯაროებას. სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას საზოგადოების წარმომადგენლები და ორგანიზებული ჯგუფები ბრალდებულების საწინააღმდეგო აქციებს მართავდნენ“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ ამ საქმეებზე არაადეკვატური მუხლები და ბრალდებები წაუყენეს ადამიანებს, რომელთა შესახებ სათანადო ინფორმაციები და მტკიცებულებები არსებობდა: **„მთავარი პრობლემა პროკურატურის სისუსტე იყო. ამ დროს, საუბარია იმ ძირითად თემებზე, როგორიცაა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა... ამ მიმართულებით პროკურატურას აშკარად არასწორი მიდგომა ჰქონდა. შესაბამისად, ისეთი ბრალდებებით გაუშვეს ეს ადამიანები, რომ მთავართან შედარებით, სასაცილოდ გამოიყურებოდა.**

**ბაჩო ახალაიას საქმე ავიღოთ. რა მოწმე უნდა არსებულიყო, ვაშლის გაფცქვნაზე და საგნის სროლაზე რომ უყენებ ბრალს? ბუნებრივია, აქ პროკურატურის პოზიცია ძალიან სუსტია. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით უწყების დამოკიდებულება კითხვის ნიშნებს აჩენს.**

**მეორე მხრივ, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ცხრა წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ წამებასა და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე. ამ უბედურებას ძალიან მშვიდად უყურებდნენ ან, საერთოდ, იგნორირებას უკეთებდნენ. დღესაც გარკვევით უნდა შეაფასონ პროკურატურის პოზიცია, რომელიც ამ საქმეებზე სიმართლის დადგენით ნაკლებადაა დაინტერესებული. არადა, კარგად ვიცი, უამრავი ადამიანია დარჩენილი, ვინც წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლია, უამრავია ქონებაწართმეული...**

**მთავარი კრიტიკის საგანი უნდა იყოს ის, რომ ამ დანაშაულების გამოძიების დასრულება გვჭირდება, რომელიც არ დასრულდება, სანამ არ გამოვლინდება ამ სისტემის შემქმნელი და დანაშაულის ჩამდენი პირები. კონტექსტიდან ამოგლეჯილი მსჯელობა არაფერს მოგვცემს. მოწმეთა ჩვენება საკმარისიც რომ იყოს, უკმარისობაა იმ მხრივ, რომ მათ ბრალი არასრულფასოვნად აქვთ წარდგენილი“.**

რაც შეეხება პროკურატურის პოზიციების სისუსტეს, ნანა კაკაბაძე ამის მიზეზად, პირველ რიგში, ძველ კადრებს ასახელებს: **„პროკურატურაში არ ჩატარდა წმენდა და ის პროკურორები, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი დანაშაული აქვთ ჩადენილი, კვლავ თანამდებობებზე სხედან... როგორ ფიქრობთ, მათ მიერვე გამოძიებული საქმეების ეჭვქვეშ დაყენებას და ხელახლა გამოძიებას მოინდომებენ, მით უმეტეს, კრიმინალად გამოცხადებას? საკუთარ თავს ხომ არ გაუშვებენ ციხეში? ამიტომ, ბუნებრივია, ისინი არანაირ მტკიცებულებებს არ აგროვებენ და არც მთავარზე აქცენტებს აკეთებენ“.**

ამ სფეროში, ხელისუფლების ცვლილება საქმეს ჯერჯერობით ვერ შველის. ნებისმიერი მთავრობა ცდილობს, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ და მართლმსაჯულების უზრუნველმყოფ ორგანოებზე საკუთარი კონტროლი დაამყაროს. თავის მხრივ, ამ სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს ჯერ კიდევ ურჩევნიათ, იარონ არა კანონმდებლობის, არამედ „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ ჭკუაზე, გასაგები მიზეზების გამო. გამოსავალი ისაა, რომ ქვეყანაში კონსტიტუცია და კანონი ბატონობდეს და არა ვიღაც „კეთილი ბიძიების“ ნება. სანამ საზოგადოება ამ ელემენტარულ აუცილებლობას არ გაისიგრძეგანებს, მანამ ერთ მოჯადოებულ წრეზე ვივლით, რასაც არაპროფესიონალიზმი და პერმანენტული უკანონობა ჰქვია.



### შსს-მ „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

შსს-ს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების და დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ლევან გ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 26 აგვისტოს, თბილისში, გოძიაშვილის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალს ლევან გ. თავს დაესხა და ბანკიდან სხვადასხვა ვალუტის ფულადი თანხა გაიტაცა. იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიების ინფორმაციით, ბანკიდან გატაცებული თანხა ეროვნულ ვალუტაში 8 400 ლარია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1 სექტემბერს ლევან გ. რუსთავში, წითელი ხიდის გზატკეცილზე გადაადგილებისას დააკავეს. თბილისში, მისი დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ბანკიდან გატაცებული თანხა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*



### ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა

ინფორმაციას ვანო მერაბიშვილის ავადმყოფობის შესახებ ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი ავრცელებს.

ადვოკატი სასჯელაღსრულების სამინისტროს თხოვნით მიმართავს, რომ მერაბიშვილთან სამოქალაქო საავადმყოფოს ექიმების შეყვანა მოხდეს ან ახლობლებს მიეცეთ ყოფილი პრემიერის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის უფლება.

როგორც ჩივიაშვილმა აღნიშნა, ვანო მერაბიშვილს გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო პერსონალი გამოკვლევებს და მკურნალობას აწარმოებს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება.

ჩივიაშვილმა სასჯელაღსრულების სამინისტროს წერილობითი განცხადებით მიმართა: **„ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო პერსონალი დაკვირვებას აწარმოებს და ატარებს გამოკველევებს. ვთხოვთ სასჯელაღსრულების სამინისტროს, მოხდეს მერაბიშვილთან სამედიცინო სექტორის ექიმების შეყვანა და თუ ეს ვერ მოხერხდება, მოგვეცეს შესაძლებლობა, რომ იგი სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადავიყვანოთ სამკურნალოდ“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# თემურ შაშიაშვილი: „ისეთ რამეს ვიტყვი, რაც შეთანხმებული არ მაქვს და შეიძლება, ნინო ბურჯანაძეს ეწყინოს“

ნინო კომახიძე
599-95-33-16



## დემოკრატიული მოძრაობა და სახალხო კრება არჩევნების ბოიკოტით იმუქრება?!

**ბიძინა ივანიშვილის ღია წერილმა საქართველოში უკლებლივ ყველა პოლიტიკური წრე, მათ შორის სახალხო კრებაც აალაპარაკა და „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ახალი პოლიტიკური შედარებებისთვის შთააგონა: ივანიშვილი კუჭის პოლიტიკოსი აღმოჩნდა, სხვადასხვა ხელისუფლებასთან დაახლოებულთა კასტა მოტაშეებად, მაქებრებად, ქამელეონებად და მოღალატეებად დაიყო, ქვეყანას „გრავიტაციული მუდმივა“ მართავს, გიორგი მარგველაშვილი კი ამერიკის აგენტი გამოდგა... რა შემთხვევაში გამოუცხადებს არჩევნებს ბოიკოტს სახალხო კრება — მოვლენათა განვითარების შესახებ „ვერსიას“ თემურ შაშიაშვილი ესაუბრება.**

— ჯერჯერობით, მეც და მოსახლეობაც იმაზე მეტ პატივს ვცემთ ბიძინა ივანიშვილს, ვიდრე ის საკუთარ თავს. ამ არეულ-დარეული ღია წერილით ივანიშვილმა საკუთარ პერსონას დიდი დარტყმა მიაყენა. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მას საზოგადოება გაუნათლებელი ჰგონია და ფიქრობს, რასაც იტყვის, ყველაფერი უსიტყვოდ უნდა მივიღოთ. მგონია, საზოგადოებას ათამაშებს რაღაც ჯგუფი, რომელსაც „გრავიტაციულ მუდმივას“ შევადარებდი. იცვლებიან ხელისუფალნი, მაგრამ არ იცვლებიან მოტაშენი, მაქებარნი, ქამელეონები და მოღალატეები.

— **ამ შედარებების უკან რომელ პოლიტიკურ ძალებს გულისხმობთ?**

**— ვინც უღალატა გამსახურდიას, დარჩა შევარდნაძესთან, ვინც უღალატა შევარდნაძეს, დარჩა სააკაშვილთან, ვინც სააკაშვილს უღალატა, ივანიშვილთან გადაინაცვლა... დღეს ეს ხალხი ბიძინას ირგვლივ ტრიალებს, ამიტომ აუცილებელია პოლიტიკური რეფორმა — ქვეყანაში პოლიტიკოსად აღიარების სისტემა უნდა შემოვიტანოთ. საქართველოში კუჭის პოლიტიკოსები მეფობენ და ბიძინა ივანიშვილი კუჭის პოლიტიკოსი აღმოჩნდა — მან თავისი ფულით ხალხის გაჭირვებაზე ითამაშა, დაპირებებით გააძღო და ახლა წასვლას აპირებს?!**

— **როგორც განცხადებაშია ნათქვამი, თუ საჭირო გახდება, ივანიშვილი მობრუნდება.**

— ივანიშვილის ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ მას ინტელექტუალი ადამიანები არ უყვარს — აშკარაა, მონური ფსიქოლოგიის პოლიტიკოსები, მაქებრები და ქამელეონები ურჩევნია. იგი არათანმიმდევრულია თავის მოქმედებებსა და განცხადებებშიც... აი, ამერიკაში კაცი თანამდებობიდან რომ მიდის, ერთი წელი უფლება არ აქვს, პოლიტიკაში ჩაერიოს, ამიტომაა ძლიერი ის ქვეყანა. ივანიშვილი კი ამბობს — წავალ და დაგიტოვებთ კარგ პრემიერსო. ვისაც ეგ კარგ ბიჭს ეძახის, ქალიშვილი რომ გყავდეს, არ მიათხოვებ. ამბობს, კარგი მინისტრები გვყავსო, არადა მათ შორის კარგი ერთი-ორია და ისინიც წავლენ. გული მწყდება ზოგიერთ მინისტრზე, რომელიც მისგან უკვე არ მიდის.

— **ვის გულისხმობთ?**

— მაგალითად, ირაკლი ალასანიას... იმედია, გარშემომყოფთაგან ივანიშვილს ვინმე გაუბედავს და ეტყვის, რომ ასე ლაპარაკი არ შეიძლება! ივანიშვილმა ისიც თქვა, პრობლემა საზოგადოებაშიაო... ცდებით, ბატონო ბიძინა, პრობლემა თქვენშია და ხელისუფლების პროვინციალიზმში! პროვინციალიზმისგან ვერც ხელისუფლებამ და ვერც საზოგადოებამ თავი ვერ იხსნა, ამდენი ხანია ემოციებით ვიმართებით.

— **პრემიერმაც ხომ თქვა, ვიცი, ემოციის კარნახით ამირჩიეთ და არა ჩემი პროგრამის გამოო?**

— გავიგეთ, რომ გულწრფელი კაცია, მაგრამ ეგ რას გვაძლევს?! საჩხერეში სიტყვით გამოსვლისას რა თვითკმაყოფილიც ივანიშვილი იყო, ასეთი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი მინახავს. ხალხი გმინავს გაჭირვებისგან, ივანიშვილი კი კმაყოფილია, სამართლიანობა აღვადგინეო. თუმცა გამოსვლის ბოლოს საკუთარ თავს ხაზი ერთი ფრაზით გადაუსვა — არჩევნებამდე წვიმიანი ამინდი იყო, მაგრამ მაშინ მეტნი იყავითო. მარგველაშვილიც გულწრფელია, როცა ამბობს, პლასტილინივით ვარო, მაგრამ მერე ასეთ კაცს საპრეზიდენტო კანდიდატად პირში რომ გვჩრიან, ეგ აღარაა სწორი! ერთი, ბრეჟნევი ვნახე, რომელსაც აჯილდოებდნენ და საკუთარ თავს ტაშს უკრავდა და მეორე — მარგველაშვილი. იდგა ამხელა კაცი, ივანიშვილი აქებდა და ეს გამალებით ურტყამდა ხელებს ერთმანეთს.

— **ვთქვათ, მომავალი პრეზიდენტის ბედი გარკვეულია. თქვენი აზრით, ვის დატოვებს ივანიშვილი პრემიერად?**

— ჩემზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ ივანიშვილის ქმედებები სახელს უკვე მასაც უტეხს. ფაქტია, ამ კაცს არ უნდა, სააკაშვილის ეპოქა დასრულდეს და ამიტომაც მიდის! დღეს რომ ზოგიერთები კოალიციაში რჩებიან, ამით საკუთარ სახელს იფუჭებენ — ეს პარტიები მონურ ფსიქოლოგიას ავლენენ. გული მწყდება ირაკლი ალასანიაზე, განადგურებულ „ფორუმზე“, „რესპუბლიკელებზე“.

— **ივანიშვილის „ხატრით დანიშნულს“ უწოდებთ მარგველაშვილს, ახალ პრემიერს მოქმედი პრემიერი გვიტოვებს — ამ პირობებში, თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს რა შანსები აქვს?**

— საქმე ისაა, ჩვენ კი არა, ქვეყანას რა შანსი აქვს. როცა კაცი ამბობს, ჩემი ხატრით აირჩიეთ დეპუტატები, ჩემი ხატრით დანიშნეთ მინისტრები, ჩემი ხატრით აირჩიეთ პრეზიდენტი და მე დაგიტოვებთ პრემიერსო, ამით ქვეყანას უკადრებელს ჰკადრებს! ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამერიკული სცენარია.

— **მით უმეტეს, ნინო ბურჯანაძე კატეგორიულად არ ჯდება ამერიკულ სცენარში... ამიტომ გეკითხებით, რა შანსი გაქვთ რეალურად?**

**— დიახ, ამერიკელებს ნინო არ უნდათ, მაგრამ ისინი პატივს სცემენ ხალხის არჩევანს. ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, რაც შეთანხმებული არ მაქვს და შეიძლება, ნინო ბურჯანაძეს ეწყინოს: გიორგი მარგველაშვილი ყოველთვის პირველი აღმოჩნდა ხელისუფლებებთან. მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება და იგი ამერიკელებმა დააფინანსეს, მარგველაშვილი თავისუფლების ინსტიტუტის დამფუძნებელი, სოროსის ფონდის ინსტიტუტის დირექტორი იყო. როგორც კი ნინო წავიდა ოპოზიციაში, მისი ფონდის დირექტორად როგორ აღმოჩნდა?! ეჭვი არ მეპარება, მაშინ ამერიკელებს ეგონათ, ქართველი ხალხი სააკაშვილს აღარ მოუთმენდა და იძულებულნი გახდნენ, ფსონი ნინო ბურჯანაძეზე დაედოთ. თუმცა ნინოს თავისი კაცი ჩაუსვეს — მარგველაშვილი. მახსოვს, როგორ აქებდა მარგველაშვილი ბურჯანაძეს თავის გამოსვლებში.**

— **რასაც მარგველაშვილს კომპრომატად უყენებთ, ახლა იგივეს ამბობთ ნინო ბურჯანაძეზეც, რომელიც თქვენი პარტიის კანდიდატია...**

— ნინო ბურჯანაძე ამერიკელებმა იმიტომ გაწირეს, რომ თავისუფლების ინსტიტუტის წევრი ვერ გახადეს. ამერიკელები ეუბნებოდნენ, რუსეთთან კარგად იყავიო და როგორც კი რუსეთისკენ ნაბიჯი გადადგა, მაშინვე „პრორუსად“ შერაცხეს! ეს ამერიკელების ცნობილი ფორმულაა, თუმცა ეგ იქით იყოს. დღეს, ვიდრე მხარს ნინო ბურჯანაძეს დავუჭერდით, სახალხო კრების შიგნით 2 კვირა სერიოზულად ვფიქრობდით — პრეზიდენტობის კანდიდატად ივანიშვილს საკუთარი თავი რომ წამოეყენებინა, მხარს მას დავუჭერდით ისევე, როგორც ლევან ვასაძეს, მინდია უგრეხელიძეს. ამაზე ნინო ბურჯანაძეც თანახმა იყო. სახალხო კრებას არასოდეს უთქვამს, საპრეზიდენტო კანდიდატი აუცილებლად გვეყოლებაო და ფრთხილობდა, როცა მის დასახელებაზე იყო საუბარი. ვიცი, ამერიკელებს საქართველოში სახალხო კრების ინსტიტუტი არ მოსწონთ, მაგრამ როგორც კი კრების კანდიდატი არჩევნებში გაიმარჯვებს, მასთან საუცხოოდ ითანამშრომლებენ.

— **არადა, ბევრს კარგა ხანს სჯეროდა, რომ ივანიშვილ-ბურჯანაძეს შორის გარიგება იყო და კოალიცია ბურჯანაძის გაპრეზიდენტებას შეუწყობდა ხელს.**

— ეს კრებაში სასაცილოდ არ გვყოფნიდა. ჭკვიანი კაცია ბიძინა, თუ ასე ფიქრობს და მართლა ასე რომ მოიქცეს, ბოდიშს მოვუხდი. იმაში, რომ მარგველაშვილი ივანიშვილის კი არა, ამერიკის კანდიდატია, ეჭვი ოდნავ არ მეპარება. არც იმას ვეჭვობ, ლევან ვასაძე რომ დაესახელებინა, საპატრიარქოს და ხალხის მხრიდანაც გაცილებით მეტი მხარდაჭერა ექნებოდა. რატომ უნდა ავირჩიოთ მარგველაშვილი — ეგ კაცი ვინმეს ეკლესიაში უნახავს?!

— **ბურჯანაძე უნახავთ, მაგრამ ამის მიხედვით ვირჩევთ პრეზიდენტს?!**

— ბურჯანაძე გაცილებით ახლოსაა ქართულ ტრადიციებთან. ჩემზე მეტად ნინოს არავინ აკრიტიკებდა, დღეს კი ხალხმა სახალხო კრებას უნდა დაუჭიროს მხარი და არა ნინო ბურჯანაძეს. ვისაც ბურჯანაძე არ მოსწონს, მისთვის გარანტი ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე და სხვები იქნებიან.

— **ბოლოს და ბოლოს, საარჩევნოდ რა პროგნოზს აკეთებთ?**

**— თუ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, პირველ ტურში ვერავინ გაიმარჯვებს. ობიექტურ მეორე ტურში უნდა დარჩნენ ბურჯანაძე და მარგველაშვილი და თუ მარგველაშვილი გაიმარჯვებს, მაშინ არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ! პირველ რიგში, აქციები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ უნდა დავიწყოთ და მას ვუთხრათ, იანვარში კი არა, დროზე წავიდეს თანამდებობიდან! თუ მეორე ტური არ შედგა და მასში ბურჯანაძეც არ გავიდა, ე.ი. არჩევნები გაყალბდა. ხოლო თუ მეორე ტურში, მარგველაშვილთან ერთად, დავით ბაქრაძე მოხვდა, ე.ი. არჩევნები გაყიდულ-მოსყიდულია და ბიძინას უნდა ვუთხრათ, სწრაფად წადი საქართველოდანო!**

## ვერსიანიუსი



## ირაკლი ღარიბაშვილი ამბასადორიალზე სიტყვით გამოვიდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, 2 სექტემბერს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ამბასადორიალის ოფიციალურ გახსნაზე სიტყვით გამოვიდა და მიწვეულ სტუმრებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის, სუვერენიტეტის განმტკიცების ამოცანები გააცნო. ირაკლი ღარიბაშვილი თავის სიტყვაში შეეხო როგორც ოკუპირებული ცხინვალის, ასევე აფხაზეთის რეგიონში არსებულ ვითარებას.

მინისტრმა ხაზი გაუსვა 2013 წლის ივლისში ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში მავთულხლართების გავლების პროცესს და აღნიშნა, რომ შს სამინისტრომ ეს პროცესი დაწყებისთანავე მკაცრად დაგმო და გააპროტესტა, როგორც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით ჟენევის დისკუსიების XXIII და XXIV რაუნდებზე. მისი თქმით, კონფლიქტური ზონები და იქ არსებული მდგომარეობა საუბრის ძირითადი თემაა უცხოელი პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

გამოსვლის ბოლოს, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებული რთული საკითხების ეფექტურად დარეგულირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა და რეინტეგრაციის სამინისტროებთან ერთად, ყველა მათ ხელთარსებული ინსტრუმენტისა და რესურსის გამოყენებით აქტიურად მუშაობს.

მინისტრმა დასძინა, რომ შს სამინისტრო, როგორც უსაფრთხოების მთავარი გარანტორი, მუდმივ შეხვედრებს მართავს ოკუპაციის მიმდებარე სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობასთან უსაფრთხოებისა და არსებული პრობლემების გაცნობის კუთხით.

*„ვერსიანიუსი“*



## 24 წლის გოგონამ ქმრის ბებია მოკლა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ეთერ ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 სექტემბერს, დილით, გურჯაანში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლის ბებიას, 1934 წელს დაბადებულ ზინა ჯადუგიშვილს ცივი იარაღით ყელში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზინა ჯადუგიშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ეთერ ხ. მომხდარიდან საათნახევარში, საგარეჯოს რაიონში დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი-დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 108-ე მუხლით). გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*




## შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 8 პირს ბრალი წაუყენა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში სხვადასხვა სასტუმროებისა და საუნის დროებით მფლობელებს: 1973 წელს დაბადებულ ციცინო კ-ს, 1967 წელს დაბადებულ ფატიმა ა-ს, 1954 წელს დაბადებულ მარიამ ბ-ს, 1976 წელს დაბადებულ ნინო დ-ს, 1953 წელს დაბადებულ ლუიზა კ-ს, 1967 წელს დაბადებულ მარინე შ-ს, 1959 წელს დაბადებულ დარეჯან ა-ს და 1954 წელს დაბადებულ მერაბ ა-ს ბრალი პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ფაქტზე წაუყენეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისში, გოგოლის, ცისკარიშვილის, გორგასლის, ხევძმარის, ნეველის ქუჩებსა და კახეთის გზატკეცილზე მდებარე სასტუმროებში პროსტიტუციისთვის ოთახებს სისტემატურად აქირავებდნენ.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

*„ვერსიანიუსი“*

# „სამი წელია არსებობისთვის ვიბრძვით და ჩვენი საშველი არაა!“



## სტეფანწმინდაში თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახი ხელისუფლებას სახლის გადახურვას სთხოვს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**ნებისმიერი სახელმწიფოსა და მთავრობის უპირველესი მოვალეობა საკუთარი მოქალაქის გვერდით დგომა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებაა. სამწუხაროდ, ეს აქსიომა საქართველოში კვლავ არ მოქმედებს და პირიქითაა ყველაფერი. სხვა რა უნდა ვთქვათ პრობლემაზე, როცა სტეფანწმინდელი ოჯახი ამა ქვეყნის ძლიერთაგან მხოლოდ სახლის გადახურვას მოითხოვს, სხვადასხვა ორგანოში შესაბამისი წერილებიც დიდი ხანია დაგზავნეს, მაგრამ მათი გასაჭირი არავინ მიიტანა გულთან — სამსულიანი ოჯახი კვლავ 20 კვ.მ ფართის სამზარეულოშია შეყუჟული, სადაც ზამთარ-ზაფხულ ორპირი ქარი უბერავს. „ვერსიას“ ოჯახის დიასახლისი, ბაბულია (ნანა) ვალიშვილი დაუკავშირდა და თავისი გასაჭირის შესახებ უამბო.**

— დაბა სტეფანწმინდის ცენტრალურ ქუჩაზე, რუსთაველის №6-ში ვცხოვრობთ. შეიძლება ითქვას, სამი წელია, უსახლკაროდ ვართ დარჩენილები, რადგან

**ჩვენს საცხოვრებლად ითვლება პატარა სამზარეულო, სადაც სამი სული თავს ვაფარებთ, არადა ეს სამზარეულოც გასალესია და ცუდ მდგომარეობაშია... გაჭირვებაც აღარ ჰქვია ამას — ხშირად მაგიდაზე ვშლი ლეიბს და ისე ვწვები დასაძინებლად. ერთ ძმას იატაკზე სძინავს და მეორეს საწოლში. ხან, ერთმანეთს ვენაცვლებით. როცა დავწვებით, ოთახში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ რჩება. იატაკზე მწოლიარეს ზემოდან უნდა გადაახტე, რომ სამშვიდობოს გახვიდე. მეშინია, შემთხვევით ფეხი არ წამოვკრა... სახელდახელო სველი წერტილი გვაქვს, ერთი ონკანია სამზარეულოში და ჭურჭელი თუ სარეცხი იქ ირეცხება... ზამთარში კი აქ ყოფნა გაუსაძლისია. ღვთის წყალობით, სტეფანწმინდაში ზამთრობით გაზი გვაქვს. ვანთებთ, ღუმელთან ახლოს ვდგებით და ისე ვთბებით. ორპირი ქარი უბერავს და რეალურად, აქ ცხოვრება შეუძლებელია. სამი წელია სამსულიანი ოჯახი 20 კვადრატულ მეტრში არსებობისთვის ვიბრძვით და ჩვენი საშველი არ ჩანს.**

**— უსახლკაროდ რატომ დარჩით?**

— ძველი სახლი გაუბედურებული იყო. წლების განმავლობაში დიდი თოვლი სახურავს დააწვა, ნელ-ნელა ძველი კრამიტი ჩამოანგრია და შესაბამისად, ჭერი ჩამოწვა — სხვენს ხედავდი, ისე იყო გაუბედურებული. ამხელა სახურავს ვერაფრით გადავხურავდით, თან საუკუნის წინ აშენებული ნაგებობა იყო და კოსმეტიკური რემონტი ვერაფერს უშველიდა — შენობა სალი ქვით იყო აგებული... მაშინ სახლს არც ნორმალურ საძირკველს უკეთებდნენ და არც ქვას ლესავდნენ — რაღაცნაირად იყო ქვები ერთმანეთზე დამაგრებული და მხოლოდ კედლის ამოყვანის მერე ლესავდნენ შიგნიდან. ადრე თურმე ასე აშენებდნენ და კარგ სახლადაც ითვლებოდა, მაგრამ ჟამთა სვლას როგორ გაუძლებდა? ჭერი რომ ჩამოიშალა... სახლშიც ისე წვიმდა და თოვდა, როგორც გარეთ. დროთა განმავლობაში, იატაკიც განადგურდა და ნელ-ნელა დალპა...

**— ახალი სახლის აშენება რის იმედად გადაწყვიტეთ, საკმარისი თანხა გქონდათ?**

— ამ მიზნით, ჩემმა ქალიშვილმა თბილისში ერთოთახიანი ბინა გაყიდა და ისიც უსახლკაროდ დარჩა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავცვივდით და გადავწყვიტეთ, როგორც შევძლებდით, ისე აგვეშენებინა. როგორც გითხარით, მარტო გვერდითა, მოგვიანებით მიდგმული სამზარეულო დავიტოვეთ, რომ ღია ცისქვეშ არ დავრჩენილიყავით. დავიწყეთ საძირკვლიდან, კედლები როგორღაც ამოვაშენეთ, მაგრამ პირველი სართული დაუმთავრებელია. იმის გამო გავჩერდით, რომ თანხა აღარ გვქონდა. ასე დავრჩით სამი სული ერთი ფარღალალა სამზარეულოს ამარა.

**— ხელისუფლებას რას სთხოვთ?**

— იქნებ, ეს სახლი, მანსარდის სახით მაინც დასრულდეს, რადგან ამ შემთხვევაში სახურავი გადაიხურება, შიგნით კიდევ პატარა სივრცე დარჩება, სადაც პატარა ოთახებს გავაკეთებთ. პირველ ან მეორე სართულზე ერთი-ორი ოთახი რომ გაკეთდეს, საიმედო თავშესაფარი გვექნება. დანარჩენს რამენაირად, ნელ-ნელა მივხედავთ. ელემენტარული რემონტი უნდა გაკეთდეს, რომ ზამთარში არ გავიყინოთ.

**— დახმარებისთვის ვის მიმართეთ?**

**— საპარლამენტო არჩევნებამდე განცხადება პრეზიდენტის სახელზე დავწერეთ, რომელსაც არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მერე პრემიერ-მინისტრს მივწერეთ, რაიონის გამგეობას დააწერეს რეზოლუცია — გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში გაეცნოთ ამ პრობლემასო და როცა ადგილობრივ ხელისუფლებას მივაკითხეთ, გამგებელმა შალვა ელოშვილმა გვიპასუხა — ამისთვის არანაირი სახსრები არ გვაქვს გამოყოფილი და სახლსაც ვერავის გადავუხურავთო. გაუგებარია, უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებზე ზრუნვა მათი ფუნქცია არაა? თან ახალი სახლის გამოყოფას ან თავიდან აშენებას ხომ არ ვთხოვთ, მანსარდის ტიპის გადახურვას და ერთი-ორი ოთახის გაკეთებას, რომ შიგნით შესვლა და ცხოვრება შეიძლებოდეს...**

ასე რომ, გამგებელი ვერაფრით დაგვეხმარა — იმის სახსრებიც არ გვაქვს, სადმე ბინა გიქირაოთო. შემდეგ მოადგილეს, გამგეობის იურისტსა და საკრებულოს წარმომადგენელსაც დაველაპარაკეთ, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არაა.

**— ახლა რას აპირებთ?**

— ერთადერთი, ყაზბეგის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, მირიან წიკლაურისთვის არ მიგვიმართავს. ხევში ამ ადამიანს ძალიან აქებენ, გიორგი მარველაშვილთან ერთად იყო ჩამოსული სტეფანწმინდაში წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. შევთანხმდით, რომ უახლოეს ხანში შევხვდებოდით და ჩვენს პრობლემაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ. იმედი გვაქვს, გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანს და შუამდგომლობას გაგვიწევს შესაბამის სტრუქტურებთან, რათა ჩვენი სახლი რამენაირად დასრულდეს.

თქვენი გაზეთის მეშვეობით, კიდევ ერთხელ მივმართავ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, იქნებ რთული ყოფა გაითვალისწინონ და ის მინიმალური მაინც გაგვიკეთონ, რაც ჩვენი ოჯახის გადარჩენისთვისაა აუცილებელი.




# თვალთვალი და სახელმწიფო

guardian.co.uk

### სარედაქციო წერილი

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, ედუარდ სნოუდენის წყალობით, დღეს მთელი მსოფლიო იმ დრამატულ ცვლილებებს განიხილავს, რომელიც სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის შეთანხმებაში ხდება.

„ჯაშუშები ჯაშუშობენ? ვინ იფიქრებდა!“ ეს არის ერთადერთი რეაქცია იმ უამრავი ადამიანის მხრიდან, რომელსაც წესით, არ უნდა გაკვირვებოდა, მაგრამ მაინც გაოცებულია ედუარდ სნოუდენის აღსარებით იმის თაობაზე, რაც დასავლეთის უმსხვილეს სპეცსამსახურებში ხდება. ყველას წაგვიკითხავს ლე კარე, — ამბობენ ისინი აღშფოთებულები. ყველა ყველას უთვალთვალებს, მაგრამ თუკი საქმე ბელეტრისტიკას არ ეხება, ეს ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა იყოს, რადგან ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ნაციონალური უსაფრთხოება. სახელმწიფოსთვის კი საიდუმლოს შენახვის საუკეთესო გზა – მთელი რიგი სისხლის და სამოქალაქო სამართლის კანონებით შეიარაღება და მისი სადამსჯელო ზომებით გამყარებაა, რათა ნებისმიერი გაჟონვა საფუძველშივე აღიკვეთოს.

ადრე ეს მუშაობდა. თუმცა ჯაშუშური საქმიანობის ბუნება შეიცვალა – ამის შესახებ გვაუწყა სნოუდენმა. ის, რაც ადრე გამონაკლისი იყო, დღეს პრაქტიკულად, უნივერსალურია. აშკარაა, რომ თვალთვალის ობიექტებად მთელი ერები იქცნენ. დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელებმა შეიძლება ამტკიცონ, რომ ისინი მხოლოდ ქინძისთავს ეძებენ თივის ზვინში, მაგრამ ჯერ მთლიანი თივის ზვინი უნდა ჩაიგდონ ხელთ... ამიტომ უთვალთვალებენ მილიონობით (ყველა თვალსაზრისით) უდანაშაულო მოქალაქეს. ხელთ იგდებენ მათ სატელეფონო საუბრებს, საძიებო გვერდებს, გზავნილებს და ელექტრონულ წერილებს, აგროვებენ, ინახავენ და აანალიზებენ.

უფიქრიათ კი მთავრობებს ოდესმე ისეთ ცნებაზე, როგორიცაა თანხმობა? ნუთუ ინჟინრებს, დაზვერვის სამსახურის შეფებს, მინისტრებს, კონგრესმენებს და პრეზიდენტებს თავში არ მოსვლიათ აზრად, რომ ამ ტიპის სერიოზულ ძვრებს სახელმწიფოს და მოქალაქეებს შორის შეთანხმებაში, განხილვა სჭირდება?

## საიდუმლოება და ღიაობა

სნოუდენის წყალობით, ამ საკითხების განხილვა დაიწყო და მსოფლიო მოიცვა. პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ის მიესალმება მსგავსი ტიპის დისკუსიებს. იმედისმომცემი განცხადებაა, იმის მიუხედავადაც კი, თუკი დიდი ალბათობით, ეს ტყუილია, რადგან ასეთი დისკუსიები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს ნებისმიერ მთავრობას – ასევე დაზვერვის თანამშრომლებს და მსხვილი ტელესაკომუნიკაციო კომპანიების ხელმძღვანელებს. ყველაფერი გაცილებით იოლი იყო, როდესაც მსგავსი საკითხების ირგვლივ ნებისმიერ დისკუსიას კანონი აღკვეთდა. პირველ მსოფლიო ომამდე და მას შემდეგ მიღებული კანონები (კანონი ჯაშუშური საქმიანობის წინააღმდეგ აშშ-ში, კანონი სახელმწიფო საიდუმლოების არგათქმის შესახებ დიდ ბრიტანეთში) სწორედ ამისკენ იყო მიმართული.

საიდუმლოება და ღიაობა, რაღაც მომენტში, ერთმანეთს დაეჯახება. მთავრობები და ჯაშუშები მუდმივად ილაპარაკებენ უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობაზე – ეს გარდაუვალია. ადამიანებს, რომლებისთვისაც ფასეულია სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, პროტესტის გამოხატვის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ასევე სახელმწიფოსგან დაცვის უფლება, ყოველთვის ექნებათ საფრთხის განცდა.

ცხადია, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ციფრულ სივრცეში ცხოვრობს (Google-ის, Verizon-ის, BT-ის, Facebook-ის ან Skype-ის ნებისმიერ მომხმარებელს) უფლება აქვს იცოდეს, რამდენად ხელშეუხებელია მისი პირადი ცხოვრება. სწორედ ეს იქცა დღევანდელი დისკუსიის თემად.

ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ დისკუსიაში და როგორ შეიძლება მათი არგუმენტები დასაბუთებული გახდეს? ამ მომენტისთვის, ამ საკითხებზე დავა აქტიურად მიმდინარეობს საკანონმდებლო ორგანოებში და აშშ-ს და ევროპის პრესაში. მაგრამ, გაერთიანებულ სამეფოში იმ პარლამენტართა და ლორდთა რიცხვი, რომლებიც დისკუსიაში ჩაერთნენ, ძალიან უმნიშვნელოა. სპეცსამსახურების საქმიანობის კონტროლი ფაქტობრივად, მხოლოდ სასამართლოების დახურულ კარს მიღმა წარმოებს. გამჭვირვალეს ვერ დაარქმევ ვერც საპარლამენტო კონტროლს. გაერთიანებულ სამეფოში, სერ მალკოლმ რიფკინდის გამონათქვამები, რომელიც საიდუმლო სამსახურებს უნდა აკონტროლებდეს, ხშირად გულშემატკივართა კაპიტნის გამოსვლებს ჰგავს. იმავეს თქმა შეიძლება აშშ-ში სენატორ დაიან ფეინშტეინზე, რომელიც სენატში დაზვერვის სამსახურების საქმიანობის საკითხებს ხელმძღვანელობს.

## კეთილსინდისიერი ინფორმირება

რა როლს ასრულებს ამ დისკუსიებში პრესა? მაისის ბოლოს, სნოუდენმა Guardian-ს დოკუმენტების შეკვრა გადასცა. ეს დოკუმენტები მან მაშინ შეაგროვა, როდესაც სპეცსამსახურებში მუშაობდა და ამ უწყების 850 ათასი თანამშრომლიდან ერთ-ერთი იყო, ვისაც ხელი მიუწვდებოდა საიდუმლო მონაცემებზე. თავისუფალი სამყაროს პირობებში, არც ერთი საღადმოაზროვნე რედაქტორი არ გაანადგურებდა ამ მასალებს წაკითხვამდე და არ დაუბრუნებდა მას საიდუმლო სამსახურებს ან მთავრობას, ვიდრე არ გააანალიზებდა. Guardian-მა გააკეთა ის, რასაც, ვიმედოვნებთ, რომ ნებისმიერი საინფორმაციო ორგანიზაცია გააკეთებდა: მან მშვიდად გააანალიზა და კეთილსინდისიერად აცნობა საზოგადოებას მის ხელთ არსებული ზოგიერთი მონაცემის შესახებ, რათა საჯარო დისკუსიები გამოეწვია.

მასალების გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხანში კაბინეტის მდივანი დაგვიკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ პრემიერ-მინისტრის დავალებით მოქმედებდა. მან აღიარა, რომ ჩვენ პასუხისმგებლობით მოვიქეცით, გამოთქვა ეჭვი ჩვენ ხელთ არსებული მასალების დაცულობასთან დაკავშირებით და მოგვთხოვა ამ მასალების დაბრუნება ან განადგურება. ჩვენ ავუხსენით მას, რომ თუკი მის თხოვნას შევასრულებდით, საზოგადოების ინფორმირებას ველარ შევძლებდით. იმ ეტაპზე კანონის მხრიდან არაფერი გვემუქრებოდა, თუმცა მაინც მივიღეთ უსაფრთხოების გარკვეული ზომები და ზოგიერთი მასალა გადავეცით ჩვენს კოლეგებს საინფორმაციო სააგენტოებიდან ამერიკაში, სადაც სერიოზული ჟურნალისტიკის დაცვის უფრო ძლიერი მექანიზმები არსებობს.

რამდენიმე კვირაში, ამ და სხვა მსგავსი საუბრების ტონი შეიცვალა. ივლისის შუა რიცხვებში ჩვენ არაორაზროვნად დაგვემუქრნენ, რომ მთავრობა შეეცდება Guardian-ის საქმიანობის შეჩერებას და მასალების გამოქვეყნების აღკვეთას ყველა კანონიერი გზით. თუკი ჩვენ წინააღმდეგობას გადავწყვეტდით, დოკუმენტებზე კონტროლი სასამართლოსთვის უნდა გადაგვეცა, რაც საბოლოოდ, ნიშნავდა იმას, რომ მასალებს ველარ გამოვაქვეყნებდით. ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორება პრესის ისეთ დაცვას უზრუნველყოფს, რომელზეც ბრიტანელ რედაქტორებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ. 40 წლის განმავლობაში (ეგრეთ წოდებული პენტაგონის დოკუმენტების გამოქვეყნების მომენტიდან 1971 წელს) მიჩნეული იყო, რომ სახელმწიფოს ვერც ერთი მცდელობა, რომელიც პრესის შეზღუდვისკენ იქნებოდა მიმართული, წარმატებით ვერ დასრულდებოდა, ამიტომ ჩვენ ამ ისტორიის მოყოლას თქვენთვის უკვე ნიუ-ორკიდან განვაგრძობთ. მასალების ნაწილი New York Times-ს გადავეცით, რომელთანაც შემდგომში თანამშრომლობას ვგეგმავთ.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამერიკის მთავრობა შეეცდება, ხოლო ამერიკის სასამართლო გასცემს აკრძალვას სნოუდენის მასალების გამოქვეყნებაზე New York Times-ში. ახლახან, აშშ-ს გენერალური პროკურორი საზოგადოებას დაპირდა, რომ არ დააყენებს ჟურნალისტების პასუხისმგებლობის საკითხს იმისთვის, რომ „ისინი თავის საქმეს აკეთებენ“. ამიტომ დისკუსიები ისეთი თემების ირგვლივ, როგორიცაა მოსახლეობაზე მონაცემების მასობრივი შეგროვება, კავშირი მთავრობას, საიდუმლო სამსახურებსა და მსხვილ კორპორაციებს შორის, ასევე თვალთვალის ზღვარი, გაგრძელდება.



ამავდროულად, პოლიციამ გაერთიანებულ სამეფოში (როგორც ჩანს, მთავრობის ბრძანებით) გამოიყენა ტერორიზმთან ბრძოლის კანონი Guardian-ის გუნდის თანამშრომლის დაკავებისათვის 9 საათით და მისი მასალების კონფისკაციისათვის. ყოფილმა ლორდ-კანცლერმა, ლორდ ფალკონერმა დაადასტურა, რომ 2000 წლის ტერორიზმთან ბრძოლის კანონი არ უნდა გამოიყენონ ისეთი ადამიანების წინააღმდეგ, როგორიცაა დევიდ მირანდა, Guardian-ის რეპორტიორის გლენ გრინვალდის მეუღლე. **„სახელმწიფოს შეიძლება უნდოდეს, რომ ჟურნალისტები არ აქვეყნებდნენ საიდუმლო მასალებს“, წერდა გასულ კვირაში საკუთარ სვეტში ჩარლზ ფალკონერი, მაგრამ ის, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი, ჟურნალისტების გადასაწყვეტია და არა მთავრობის“.**

## სამოქალაქო თავისუფლებები და უსაფრთხოება

ეს საყურადღებო სიტყვებია ბრიტანეთის მთავრობის იმ ჩინოვნიკისთვის, რომელმაც გვითხრა, რომ გაზეთმა Guardian-მა უკვე ყველაფერი განიხილა და ამ საკითხზე წერას აზრი აღარ აქვს. თუმცა, პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები არ უნდა განსაზღვრავდნენ საზოგადოებრივი დისკუსიების საზღვრებს. ისინი არ უნდა ზღუდავდნენ ასევე დისკუსიას კანონის მოშველიებით, ანუ არ უნდა ცდილობდნენ თავად ჟურნალისტიკის აქტის კრიმინალიზებას, ჟურნალისტიკის, რომლის გარეშეც ვერც ერთი დისკუსია ვერ დაიწყება.

თავისუფალი ქვეყნების მოქალაქეებს უფლება აქვთ დაიცვან საკუთარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა სახელმწიფოსაგან. სახელმწიფომ კი, არა მხოლოდ უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, არამედ დაიცვას სიტყვის თავისუფლება. ჟურნალისტების საქმე საზოგადოების ინფორმირება, დისკუსიების ინიცირება და იმ თანხმობის მუდმივი მონიტორინგის ხელშეწყობაა, რომელიც სამოქალაქო თავისუფლებებს და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს შორის ნებისმიერ კომპრომისთან დაკავშირებით არსებობს. დემოკრატიული მთავრობა, თავის მხრივ, უნდა ცდილობდეს ამ დისკუსიების არა აკრძალვას, არამედ დაცვასა და მხარდაჭერას.

## ვერსიანიუსი



### პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები 5 სექტემბერს განადგურდება

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები 5 სექტემბერს, 15:00 საათზე, საჯაროდ განადგურდება, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი ავრცელებს.

გიორგობიანის განმარტებით, ვიდეოჩანაწერების განადგურება ე.წ. მოდულის შენობაში მედიის თანდასწრებით მოხდება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ფარული ჩანაწერების განადგურების საკითხზე შექმნილი შესაბამისი კომისიის სხდომაზე მიიღეს, რომელიც 2 აგვისტოს, საამოს გაიმართა.

*„ვერსიანიუსი“*

### „ვინც ბრალს მდებს ქიმიური იარაღის გამოყენებაში, მტკიცებულებები წარადგინოს“




„ნებისმიერმა, ვინც ბრალს მდებს, ქიმიური იარაღის გამოყენებაში, მტკიცებულებები უნდა წარადგინოს“, — აცხადებს სირიის ლიდერი ბაშარ ალ-ასადი ფრანგულ გაზეთ Le Figaro-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში. ელ-ასადი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს სთხოვა, წარედგინათ მტკიცებულებები. სირიის ლიდერი განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრალდებაში ლოგიკას ვერ ხედავს: **„ჩვენ ვთხოვეთ აშშ-სა და საფრანგეთს, თუნდაც ერთი მტკიცებულება წარედგინათ. ობამამ და ოლანდმა ვერ შესძლეს ეს, თუნდაც თავიანთი ხალხის წინაშე. არაფერს ვამბობ იმაზე, ფლობს თუ არა სირიის ჯარი მსგავს იარაღს. მოდით ვივარაუდოთ, რომ ჩვენ ჯარს სურს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება: შესაძლოა თუ არა, მან ეს იარაღი გამოიყენოს იმ ადგილას, სადაც ჯარი დგას და სადაც თვით ჯარისკაცები დაშავდნენ ამ იარაღით, როგორც ეს აღნიშნეს გაერო-ს ინსპექტორებმა, როდესაც მოინახულეს ისინი საავადმყოფოში?! სად არის ლოგიკა?!“** ჟურნალისტის კითხვაზე, რა იქნება სირიის პასუხი სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, ბაშარ ალ-ასადი აცხადებს: **„ახლო აღმოსავლეთი დენთის კასრია და დღეს ცეცხლი უახლოვდება ამ რეგიონს. უნდა ვისაუბროთ იმაზე, რა მოჰყვება პირველ დარტყმას. არავინ იცის, რა მოხდება. ყველანი დაკარგავენ სიტუაციის კონტროლის სადავეებს, როდესაც დენთის კასრი აფეთქდება. სამაგიეროდ, ქაოსი და ექსტრემიზმი მოიდგამს ფეხს. ეს კი ომის საფრთხეს მთელი რეგიონის მასშტაბით მოიცავს“.**

სირიის ლიდერმა ქვეყნის მტრებზეც ისაუბრა. ბაშარ ელ-ასადის თქმით, ნებისმიერი, ვინც ხელს უწყობს ტერორისტების გაძლიერებას ფინანსური და სამხედრო კუთხით, სირიელი ხალხის მტერია: **„ნებისმიერი, ვინც მოქმედებს სირიისა და სირიელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, მტერია. ფრანგი ხალხი არაა ჩვენი მტერი, მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკა მტრულია სირიელი ხალხისადმი. მანამ, სანამ ეს პოლიტიკა მტრული იქნება, საფრანგეთი ჩვენი მტერი იქნება. ეს მტრობა კი მაშინ მორჩება, როდესაც საფრანგეთი შეცვლის თავის პოლიტიკას“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 | 7 | | |
| | | | 6 | | 3 | | 9 | 8 |
| 9 | 8 | | | | | | 3 | |
| | 3 | | | 6 | | 9 | 4 | |
| 7 | | | | | | | | 6 |
| | 2 | 1 | | 8 | | | 7 | |
| | 4 | | | | | | 1 | 3 |
| 5 | 1 | | 3 | | 7 | | | |
| | | 9 | 2 | | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 2 | | | 6 | |
| | | | | | | | 9 | |
| 3 | | | | 6 | 5 | 1 | 8 | |
| 2 | | 6 | 7 | | 8 | | 3 | |
| | | | | | | | | |
| | 8 | | 3 | | 2 | 6 | | 9 |
| | 7 | 1 | 5 | 4 | | | | 3 |
| | 6 | | | | | | | |
| | 4 | | | 7 | | 5 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 8 | | 5 |
| | 8 | | 6 | | 5 | | 3 | |
| | | | 3 | 2 | | | | |
| 2 | | | | | | 3 | 9 | 4 |
| 8 | | | | | | | | 1 |
| 9 | 1 | 5 | | | | | | 6 |
| | | | | 3 | 7 | | | |
| | 6 | | 9 | | 4 | | 1 | |
| 4 | | 1 | | | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | | | | | 9 | | 8 |
| | 2 | | | 1 | 8 | | 4 | |
| | | | 2 | | 9 | | | 1 |
| | | 8 | | 6 | | | | |
| 4 | 9 | | | | | | 7 | 6 |
| | | | | 8 | | 1 | | |
| 6 | | | 4 | | 5 | | | |
| | 3 | | 6 | 7 | | | 8 | |
| 5 | | 4 | | | | | 6 | 7 |

## სწავლა სიბერემდეო...



იტალიელმა მამაკაცმა, რომელმაც სწავლას თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნა, 76 წლის ასაკში მე-10 უმაღლესი განათლების მიღება მოახერხა. სამხრეთ აპენინების ქალაქ ტროას მცხოვრები ლეონარდო ალტობელი ცოტა ხნის წინ ბიოტექნოლოგიის დიპლომირებული სპეციალისტი გახდა. ალტობელი, რომელიც მანამდე ოჯახის ექიმად მუშაობდა და მშობლიური ქალაქის მერობაც მოასწრო, დღის დიდ ნაწილს წიგნებთან ატარებს, თუმცა მანიაკურად არ მეცადინეობს. ვსწავლობ მხოლოდ მაშინ, როცა გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. თავისუფალ დროს კი სხვა გატაცებებს ვუთმობ, — ამბობს ლეონარდო. პირველი უმაღლესი განათლება მან მედიცინის სფეროში მიიღო, მერე დაამთავრა უნივერსიტეტი იურისპრუდენციის, პოლიტიკური მეცნიერების, ლიტერატურის, ფილოსოფიის, აღმზრდელობითი მეცნიერებების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობისა და ბოლოს, ბიოტექნოლოგიის სპეციალობებით, თუმცა მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და არ გამორიცხავს, რომ სწავლას ღრმა სიბერემდე გააგრძელებს.

## ვიტამინები სიცოცხლეს გვიმოკლებენ?



დანიელმა სწავლულებმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტიდან ვიტამინების შესახებ არსებული მყარი პოზიცია შეარყიეს ადამიანების ცნობიერებაში. ყველა ექიმი თავის პაციენტს გასაჯანსაღებლად და პროფილაქტიკის მიზნით ვიტამინების მიღებას ურჩევს. დანიელი მეცნიერები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვიტამინები სიცოცხლეს გვიმოკლებს. მკვლევარებმა 67 სამეცნიერო ნაშრომი გააანალიზეს, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიწერა. ჯამში, მონაწილეთა რაოდენობამ 233 ათასი ადამიანი შეადგინა, მათ შორის იყვნენ ჯანმრთელი მოხალისეებიც და გარკვეული პათოლოგიის მქონე პაციენტებიც. მეცნიერებმა ყველა ნიუანსი გაითვალისწინეს და აცხადებენ, რომ „ა“ და „ე“-ვიტამინები, რომელთაც ადრე უძლიერეს ანტიოქსიდანტებად მიიჩნევდნენ, ორგანიზმს ხელს უშლის ბუნებრივი დაცვის უზრუნველყოფაში; მეტიც — სინთეზირებული ვიტამინების ხანგრძლივი მიღება კიბოს განვითარების რისკს ზრდის და ნაადრევ სიკვდილს იწვევს. როგორც დანიელი სწავლულები აცხადებენ, მათ ვერ იპოვეს ვიტამინების დადებითი თვისებების დამადასტურებელი ცნობები, როგორიცაა დაავადებებისგან დაცვა ან ორგანიზმის მდგომარეობის გაუმჯობესება. სწავლულები დაბეჯითებით გვირჩევენ, რომ კვების რაციონი ისე შევადგინოთ, აუცილებელი კომპონენტები საკვებიდან მივიღოთ, ხელოვნურ ვიტამინებსა თუ ბიოაქტიურ დანამატებზე საერთოდ უარი ვთქვათ.



## ფინჯანი ყავა ავტოპორტრეტით

გსურთ ფინჯან ყავაში საკუთარი თავი დაინახოთ? საამისოდ ტაივანზე მდებარე კაფეს Let's Cafe უნდა ესტუმროთ და დარწმუნდებით, როგორ შესანიშნავ პორტრეტებს ქმნიან არომატული ყავის ჭიქებში აქაური ბარმენები. ეს პატარა, მყუდრო დაწესებულება კლიენტებს „სწრაფ, მაგრამ გემრიელ ყავას“ სთავაზობს. ბაზარზე უზარმაზარი კონკურენციის გამო, მფლობელებმა გადაწყვიტეს, კლიენტებისთვის უნიკალური რამ შეეთავაზებინათ და ფინჯან არომატულ ყავასთან ერთად, მომხმარებელს საკუთარ გამოსახულებას სთავაზობენ. ამისთვის კი საჭიროა, ტელეფონით გაგზავნოთ ფოტო ბარმენის სპეციალურ ყავის აპარატზე, რომელიც საკვებადვარგისი მელნით, სასმელის ქაფზე თქვენს გამოსახულებას მოხატავს.



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 2 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 8 | 3 | 9 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 7 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 6 | 4 | 8 | 7 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 |
| 9 | 1 | 3 | 2 | 6 | 4 | 8 | 7 | 5 |
| 5 | 2 | 7 | 8 | 1 | 9 | 6 | 3 | 4 |
| 2 | 9 | 6 | 4 | 8 | 1 | 3 | 5 | 7 |
| 4 | 8 | 5 | 3 | 9 | 7 | 2 | 1 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 6 | 2 | 5 | 4 | 8 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 | 7 | 4 |
| 7 | 3 | 6 | 4 | 2 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 4 | 5 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 |
| 3 | 8 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 4 | 5 |
| 6 | 4 | 9 | 1 | 5 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 5 | 3 | 4 | 9 | 1 | 8 | 6 |
| 5 | 2 | 7 | 8 | 1 | 4 | 3 | 6 | 9 |
| 1 | 9 | 4 | 5 | 6 | 3 | 8 | 2 | 7 |
| 8 | 6 | 3 | 7 | 9 | 2 | 4 | 5 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 9 | 2 | 4 | 1 | 8 | 7 | 3 |
| 8 | 2 | 7 | 3 | 5 | 6 | 1 | 4 | 9 |
| 3 | 4 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 2 |
| 7 | 3 | 8 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 6 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 6 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 4 | 8 | 3 | 6 | 1 | 9 | 7 | 2 | 5 |
| 1 | 7 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 5 | 8 | 7 | 2 | 4 | 3 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 2 | 1 | 9 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 3 | 2 | 6 | 8 | 4 | 1 | 9 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 | 8 | 2 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 5 | 4 | 9 | 3 | 7 | 2 |
| 3 | 4 | 7 | 6 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 2 | 5 | 3 | 8 | 7 | 1 | 6 | 4 |
| 5 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 2 | 4 | 8 |
| 2 | 7 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 | 9 | 1 |
| 8 | 9 | 6 | 4 | 1 | 2 | 5 | 3 | 7 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 4 | 7 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 |
| 1 | 2 | 3 | 6 | 8 | 5 | 4 | 9 | 7 |
| 9 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 | 7 | 2 | 1 |
| 5 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 4 |
| 3 | 4 | 1 | 2 | 6 | 7 | 8 | 5 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 9 | 7 | 5 | 4 | 6 | 1 | 2 |
| 2 | 4 | 6 | 3 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 1 | 5 | 7 | 6 | 2 | 8 | 4 | 3 | 9 |
| 9 | 1 | 3 | 4 | 8 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 7 | 8 | 2 | 5 | 3 | 6 | 1 | 9 | 4 |
| 4 | 6 | 5 | 2 | 9 | 1 | 3 | 7 | 8 |
| 5 | 2 | 8 | 1 | 7 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 6 | 9 | 1 | 8 | 4 | 5 | 7 | 2 | 3 |
| 3 | 7 | 4 | 9 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 |
| 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 2 | 1 | 7 | 4 | 9 | 8 |
| 7 | 2 | 3 | 5 | 4 | 6 | 1 | 8 | 9 |
| 9 | 1 | 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 6 | 4 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 |
| 1 | 5 | 2 | 4 | 6 | 9 | 8 | 3 | 7 |
| 3 | 9 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 4 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 5 | 7 | 4 | 3 | 1 | 6 | 8 |
| 7 | 4 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 5 | 9 | 7 | 4 |
| 5 | 7 | 6 | 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 3 | 2 | 9 | 6 | 5 | 7 | 8 | 4 | 1 |
| 8 | 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 6 | 5 | 7 |
| 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 |
| 1 | 8 | 3 | 5 | 7 | 2 | 4 | 9 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 4 | 3 | 1 | 7 | 8 | 5 |

მე-13 გვერდი: 1. ცხინვალი; 2. არამისი; 3. ცხვირი; 4. „იარისი“; 5. ვაპორეტო; 6. რეგლამენტი; 7. მარკეტინგი; 8. სოიერი; 9. იამანიძე; 10. ონკოლოგია; 11. პეროვი; 12. გორდია; 13. ირაო; 14. არიეტა; 15. რესორი; 16. ტრიო; 17. აინი; 18. ბუი; 19. რიგა; 20. ნენოვა; 21. ანოა; 22. სორბონა; 23. ანტონიო ბანდერასი; 24. არგო; 25. ლუი; 26. სალიერი; 27. ტირანია; 28. ვაი; 29. ბამბა; 30. დრაკულა; 31. მიანმარი; 32. კაი; 33. ნიძიუბასი; 34. ორჰან; 35. ლეგიონი; 36. კარაკასი; 37. ლელთ ღუნია; 38. ბილიკი; 39. ვერნი; 40. კომოდი; 41. ენიო; 42. რაიანი; 43. უკულმა; 44. ურანოსი; 45. მალარია; 46. იარა; 47. ჰელიკონი; 48. ნიუ; 49. იმაგო; 50. ლოკაუტი; 51. აფინაჟი; 52. ურა; 53. თამბაქო; 54. უბე; 55. ელინგი; 56. კოლბა; 57. მუნ; 58. ასანთი; 59. ალო' 60. ფიქრი; 61. ასანთი; 62. ეოლე; 63. ამაო; 64. ქსილიტი; 65. ფუფალა; 66. ფინია; 67. ფიონა; 68. ნიორი; 69. რა; 70. სოლ; 71. ასი; 72. ერერა; 73. სან; 74. ექო; 75. პინოქიო; 76. იდიში; 77. ნარი; 78. სირ; 79. ბჟა; 80. ისარა; 81. ოლარი.

მე-16 გვერდი: 1. ბადრიჯანი; 2. ტაქსიდერმია; 3. სოპრანო; 4. დიეგო; 5. რეინი; 6. ანდერსენი; 7. რემისია; 8. ჯენერი; 9. ნაია; 10. ქემპბელი; 11. მანილა; 12. ზარბაზანა; 13. ნუმიზმატი; 14. დემენცია; 15. ოსმიუმი; 16. ისტორია; 17. ამარეტო; 18. ამაზონი; 19. მასისი; 20. პაპი; 21. ამება; 22. ანა; 23. ატა; 24. რესორი; 25. მატე; 26. რიოში; 27. პანორამა; 28. არზა; 29. რამაზი; 30. „ეგმონტი“; 31. ტილ; 32. აფერა; 33. მამონტი; 34. ანარა; 35. ევროპა; 36. უატი; 37. ტრიუმფი; 38. პოლ; 39. „მაზდა“; 40. ბრამსი; 41. ზმნა; 42. დიდრო; 43. მამაი; 44. „კია“; 45. კანაპე; 46. ონო; 47. იელი; 48. ტანდემი; 49. ენა; 50. პო; 51. ფაუ; 52. დუტა; 53. ოდა; 54. ხაჭო; 55. ემი; 56. ტრანსპარანტი; 57. რაზინი; 58. ბაჭია; 59. აბო; 60. რა; 61. აზუა.



1. რუსეთის მთავრობის რეზიდენცია
2. ფარიკაობაში ხმარებული საჩხვლეტი იარაღი
3. ღოღნაშოს ჯიში წვრილი ყვითელი ნაყოფით
4. ისლანდიელი მომღერალი ქალი
5. გაეროს ერთ-ერთი განყოფილება
6. იგივეა, რაც პაემანი
7. ალკოჰოლით მდიდარი, ადვილად აალებადი სითხე
8. პლანეტა მერკურის ძველქართული სახელი
9. ბოშათა ბანაკი
10. სურნელოვ. ნივთიერების სახელი ძვ. ქართულში
11. როსტევანის ასული „ვეფხისტყაოსანში“
12. გერმანიის სამრეწველო რაიონი
13. წყლიანი ადგილი უდაბნოში
14. ძველი აღთქმის პერსონაჟი ქალი
15. ძველ ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
16. პარაგვაის ჩაი
17. „სატელეფონო“ სიტყვა
18. ბანქოს კომბინაცია პოკერში
19. ტბა აღმოსავლეთ აფრიკაში
20. პარიზის ცნობილი მუზეუმი
21. გრძელი და მსხვილი ნემსი
22. სჯულის მცოდნე მაჰმადიანებში
23. ბალკანეთის ნ/კუნძულის დასავლეთ ნაწილის ძვ. სახელწოდება
24. კოცონზე დამწვარი ფილოსოფოსი
25. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
26. ერთგვარი საგნების რიგი, ჯგუფი
27. სხვადასხვა ფორ-მის ნატეხი შაქარი
28. მათემატი-კური ფუნქცია
29. ცნობილი ძველბერძნული სკულპტურა
30. შოტლანდიური ძაღლის ჯიში
31. ჯულიეტას გვარი შექსპირის დრამაში
32. ისრის წვერი
33. შვეიცარიელი მათემატიკოსი
34. ოიდიპოსის დედა და მეუღლე
35. ვაშლის ღვინო
36. ერთნახადი სუსტი არაყი
37. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი
38. მსოფლიო პროლეტარიატის ერთ-ერთი ბელადი
39. სათამაშო დროის მონაკვეთი ჰოკეიში
40. XXს-ის ფრანგი დრამატურგი
41. ბელადის აღმნიშვნელი სიტყვა გერმანულ ენაში
42. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი
43. თვითმფრი-ნავის საწვავი
44. სამხრეთ აფრიკელთა საყვირი
45. ერეკლე II-ის ერთ-ერთი ვაჟი
46. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
47. ხორბლის მარცვ. ბუდე
48. ტემპერატ. შკალის ავტ.
49. საფრანგეთის მთავარი მდინარე
50. დაუმუშავებელი ბრილიანტი
51. (ძვ.) სამღებრო
52. შხამიანი გველის სახეობა
53. დილის სიმღერა ტრუბადურთა პოეზიაში
54. ი. ტურგენევის მოთხრობა
55. სოციალისტ-რევო-ლუციონერის შემოკ-ლებული სახელწოდება
56. ალტაცების გამომხატველი შეძახილი იაპონიაში
57. მდინარე ბელორუსიასა და ლიტვაში
58. იაპონური ავტომარკა
59. მსახიობი ... ჰენქსი
60. დროებით გაბატონებული გემოვნება
61. ქართული კინოს ლეგენდა ... ელიავა
62. დიეზის ანტიპოდი
63. სელის ქსოვილი
64. საკურორტო ქალაქი კალიფორნიაში
65. მათემატიკური ორწევრი
66. პოლონური სადღესასწაულო ცეკვა
67. ესპერანტოს ვარიანტი
68. მდიდრული აგარაკი
69. იტალიური კინოს ლეგენდა
70. მადამ ბოვარის სახელი
71. ქალაქი, სადაც ბესიკია დაკრძალული
72. მიწის დატკეპნილი იატაკი
73. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
74. იტალ. მწერალი უმბერტო ...
75. ანაბარი უცხოეთის ბანკში
76. კავშირი ქართულ ენაში
77. დაუმწიფებელი, მკვახე ხილი
78. სასულთნო აზიაში
79. სიხარბე, პატივმოყვარეობა
80. ყანის მავნებელი მწერი
81. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
82. ძლიერი სისუსტე, ძალის დაკარგვა
83. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება

# „ბედნიერების დიეტა“ მოიგონეს



იტალიელმა მეცნიერმა კატანძაროს უნივერსიტეტიდან განსაზღვრა იმ პროდუქტების სია, რაც ადამიანს სიბრაზისა და გაღიზიანებისგან თავის დაღწევაში დაეხმარება. ამ სიაშია შოკოლადი, ხიზილალა, რძე, ყველი, ქათმის, ღორისა და საქონლის ხორცი, ნიგოზი... მკვლევარმა შეძლო, მეცნიერულად დაემტკიცებინა, რომ კარგი განწყობის საფუძველი „სწორ საკვებშია“, რომელიც ამინომჟავა ტრიპტოფანს შეიცავს. ასეთი პროდუქტები, როგორც წესი, ანტიდიეტურია, თუმცა სწავლული ამტკიცებს, რომ ადამიანმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს არანაკლებ 350 გრამი ამ „ოპტიმისტური“ პროდუქტებისა. ისინი ხელს უწყობს სტრესების თავიდან აცილებას, ამცირებს აგრესიას და ნეგატიური ემოციების მართვის საშუალებას იძლევა. იტალიელი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ „ტრიპტოფანის დიეტა“ ისეთ ფსიქოლოგიურ დაავადებებს განკურნავს, როგორიცაა დეპრესია და სუიციდისადმი მიდრეკილება.





# ჰოროსკოპი
## 4 სექტემბერი

***ვერძი*** — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გექნებათ, დღეს იდეების დეფიციტს განიცდით. მოუსმინეთ ახლობლების რჩევებს, ეს ნამდვილად გამოგადგებათ. დღეს შესაძლოა, სიურპრიზიც მიიღოთ.

***კურო*** — დღეს იმის საშიშროებაა, რომ ილუზიებსა და თქვენსავე მოგონილ ტყუილებში გაეხვიოთ. მაგრამ ამაზე არ ღირს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

***ტყუპები*** — ეცადეთ, დღეს ისე არ მოიქცეთ, რომ მერე ბოდიშის მოხდა მოგიწიოთ. თავი შეიკავეთ ქიმიური საშუალებებისა და მექანიკური საგნების ხმარებისგან, რადგან დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. ფინანსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებისთვის, თუმცა ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან ამ მხრივ არასახარბიელო დღეა. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ.

***ლომი*** — ლომებისთვის წარმატებული დღეა. არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა. სწორი გადაწყვეტილების მისაღებადაც ეს დღე აირჩიეთ. საღამოს თუ გარკვეულ დროს დასვენებას დაუთმობთ და ყველა საქმეს შეეშვებით, ამით არაფერი დაშავდება. ცოტა ხნით მარტოობაც სასარგებლოა.

***ქალწული*** — დღეს შესაძლებელი გახდება ახალი საქმიანობის დაწყება. ეს საქმე კი ძალზე საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემათ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი. მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჰარმონია პარტნიორულ ურთიერთობებში.

***სასწორი*** — კარგი იქნება, თუ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან იმ მდგომარეობაში, რომელშიც აღმოჩნდებით, ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა. საიმედო მოკავშირეებს იპოვით და მათი დახმარებით მაქსიმალურ შედეგსაც მიაღწევთ.

***მორიელი*** — დღეს კარგი განწყობა საქმეშიც შეგეტყობათ და რომანტიკულ ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის. თუმცა, ნურც დასვენებაზე იტყვით უარს, მით უმეტეს, რომ დღეს საკუთარი თავის სიამოვნება და ახლობლებისთვის ფულის ხარჯვა ძალიან მოგწონთ, ჰოდა, თავს ნუ შეიზღუდავთ ამ საქმეშიც.

***მშვილდოსანი*** — დღეს მშვილდოსნების წარუმატებლობის ხანა დასრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს.

***თხის რქა*** — გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით, სრულიად დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია. დინებას მიჰყვებით და ამის გამო საკმაოდ ნერვიულობთ, თუმცა შექმნილი ვითარება არც ისე რთულია, როგორც გეჩვენებათ.

***მერწყული*** — მერწყულებმა აქცენტი დღეს ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ. ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. იდეალური დღეა მოპინგისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. დღეს შესაძლოა შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც დიდი ხანია არ ელაპარაკებით. პირველმა გადადგით ნაბიჯი შერიგებისკენ და სულიერ სიმშვიდეს იგრძნობთ.

***თევზები*** — ნებისყოფის მოკრებისა და მაქსიმალური შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც ეს დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. არადა, კარგი დღეა როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის. დღის მეორე ნახევარი სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მყუდრო გარემოში გაატაროთ.



# ყავა სუიციდის წინააღმდეგ

დიეტოლოგებმა და ფსიქოლოგებმა გაარკვიეს, რომ ყოველდღიურად ერთი-ორი ფინჯანი ამ არომატული და გამამხნევებელი სასმელის მიღება სუიციდის რისკს 50%-მდე ამცირებს. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სპეციალისტებმა ხანგრძლივი კვლევების შედეგად დაადასტურეს, რომ ადამიანები, ვინც დღეში ორიდან ოთხ ჭიქამდე ნატურალურ ყავას სვამდნენ, ნაკლებად იყვნენ თვითმკვლელობისკენ მიდრეკილნი, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ სვამდა ამ გამამხნევებელ სასმელს. სპეციალისტების თქმით, კოფეინს შეუძლია არა მხოლოდ ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულირება, არამედ ანტიდეპრესანტივით ზემოქმედებაც. ის აჩქარებს თავის ტვინში დოფამინისა და სეროტონინის წარმოებას, რომლებიც სიამოვნების ჰორმონებს წარმოადგენს. გამოკვლევა რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. 1998-დან 2008 წლამდე ორგანიზმზე კოფეინის გავლენას 43,6 ათას მამაკაცზე ატარებდნენ, 1992-დან 2008 წლამდე კი კვლევებში სუსტი სქესის 74 ათასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

# ნიორი ფილტვის კიბოსგან იცავს



ცოტა ხნის წინ სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ნივრის მოხმარება ადამიანში ფილტვის კიბოს განვითარების რისკს 44%-ით ამცირებს. ამისთვის კი საკმარისია, ეს პროდუქტი დღეში ორჯერ მიიღოთ. აღსანიშნავია, რომ ნიორი ამ საშიში სენისგან მწეველებსაც დაიცავს. მისი რეგულარული მოხმარებისას მწეველებში ფილტვის კიბოს წარმოშობის რისკი 30%-ით მცირდება. ამ ოპტიმისტური დასკვნების ავტორების მოსაზრებით, თანამედროვე მსოფლიოში ეს დაავადება ყველაზე ხშირად მწეველებს ემართებათ. ავსტრალიელი სწავლულების აზრით, ნიორი შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა და ორგანიზმს არა მხოლოდ ფილტვის კიბოს, არამედ ნაწლავური დაავადებებისგანაც იცავს. კონკრეტული მონაცემების მისაღებად სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც 4,5 ათასი ჯანმრთელი და 1,5 ათასი დაავადებული ადამიანი მონაწილეობდა. შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ნივრის ყოველდღიური მოხმარება სასიკეთოდ აისახებოდა როგორც ჯანმრთელ, ასევე ავადმყოფ მოხალისეებზეც. მკვლევართა განცხადებით, ამის მიზეზი ნიორში არსებული ნივთიერება ალიცინია, რომელიც ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა და ანტიოქსიდანტის თვისებებიც აქვს.

# ეწვიეთ 0-ვარსკვლავიან ოტელს




ცოტა ხნის წინ შვეიცარიის ქალაქ სეველენში მსოფლიოში პირველი 0-ვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა, რომელსაც Null Stern Hotel უწოდეს და მას ერთდროულად 54 ადამიანის დაბინავება შეუძლია. შენობა, რომელიც მიწისქვეშ მდებარეობს, სამხედრო ყაზარმას წააგავს და ის ადრე ატომური ბუნკერი იყო. ამის გამო სასტუმროს ფანჯრები არ აქვს. გარესამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება კი დიდი მონიტორია, რომელიც ტელევიზორის ფუნქციასაც ასრულებს. სველი წერტილი კი მთელ სასტუმროში მხოლოდ ერთია, ასე რომ, თუ აბაზანის მიღებას გადაწყვეტთ, ყველაზე ადრე უნდა ადგეთ. Null Stern Hotel-ში დღე-ღამის გატარება 10 დოლარი დაგიჯდებათ და ალბათ ფასის გამო, სასტუმროში თავისუფალი ადგილები, პრაქტიკულად, არასოდესაა.



# ჰოროსკოპი
## 5 სექტემბერი

***ვერძი*** — დღეს უმჯობესია, თავი აარიდოთ მძიმე ფიზიკურ შრომას და არ გადაიღალოთ. კარგი იქნება მსუბუქი, გამამხნევებელი ვარჯიში დილით და სუფთა ჰაერზე გასეირნება. შეეცადეთ, დღე სიმშვიდეში გაატაროთ და არაფერზე ინერვიულოთ.

***კურო*** — შესაძლოა, დღეს სისუსტე და გადაღლილობა იგრძნოთ. შეეცადეთ, გვერდიდან შეხედოთ შექმნილ ვითარებას და მიხვდებით, რომ ბევრ რამეში თავად ხართ დამნაშავე. ასე რომ, ყველაფერს გარშემომყოფებს ნუ გადააბრალებთ და ზოგ რამეზე პასუხისმგებლობა აიღეთ.

***ტყუპები*** — ნუ შეეცდებით, სხვებს იმის გაკეთება აიძულოთ, რასაც თავადაც მშვენივრად გაუმკლავდებით. თუ კარგად არ გამოგივიდათ, ნუ ინერვიულებთ ამაზე, რადგან თქვენზე უკეთ არც სხვებს გამოუვიდოდათ.

***კირჩხიბი*** — შეეცადეთ, დღეს ძალისხმევა მოიკრიბოთ. ასევე ეცადეთ, მთელი დღე კარგ ხასიათზე იყოთ და ყველაფერი აუცილებლად გამოგივათ. დილა ვარჯიშით დაიწყეთ, შეიქმენით პოზიტიური განწყობა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით საქმეს. მხოლოდ თავს ნუ გადაიღლით, შეეცადეთ, საღამო თავისუფალი გქონდეთ და სასიამოვნო გარემოში დაისვენეთ.

***ლომი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, მეტი იმოძრაოთ და სუფთა ჰაერზე ისეირნოთ. შეეცადეთ, ერთ ადგილს არ მიეჯაჭვოთ და იმოძრაოთ. კარგი დღეა, იზრუნოთ საკუთარ გარეგნობაზე, ეწვიეთ სილამაზის სალონს.

***ქალწული*** — საკმაო წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. დღეს გაფორმებული კონტრაქტები ცოტა ხნის შემდეგ დიდ მოგებას მოგიტანთ. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, აქ ცვლილებები ნაკლებადაა მოსალოდნელი. თავი შეიკავეთ რადიკალური ნაბიჯების გადადგმისგან.

***სასწორი*** — ნუ მოახდენთ დღეს სტრესული ვითარების პროვოცირებას. სტრესი უარყოფითად აისახება თქვენს მდგომარეობაზე. სამსახურში სჯობს თავი არ გადაიღალოთ, დღის მეორე ნახევარი კი მეგობრებთან ერთად ან ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

***მორიელი*** — კარგი დღეა ნიშნის იმ წარმომადგენლებისთვის, ვისაც სიგარეტისთვის თავის დანებება აქვს გადაწყვეტილი ანდა დიეტის დაწყებას აპირებს. თუმცა, ჯანსაღი ცხოვრების დაწყებას განსაკუთრებული დრო არ სჭირდება. შეეცადეთ, არ გადაგძლიოთ მავნე ჩვევებმა.

***მშვილდოსანი*** — ენერგიით სავსე ხართ და ძალების მოზღვავებას გრძნობთ, თუმცა თავს მოუფრთხილდით, რადგან რეჟიმი, რომლითაც ცხოვრობთ, ნებისმიერს შეურყევს ჯანმრთელობას.

***თხის რქა*** — დღეს თუ რთულ ვითარებაში აღმოჩნდებით, ნუ დანებდებით, ეცადეთ, დადებითი განწყობა შეინარჩუნოთ. ასე ყველა სირთულეს გაუმკლავდებით ისე, რომ თქვენს ჯანმრთელობას ზიანს არ მიაყენებთ. იყავით მობილიზებული, ნუ გაფლანგავთ უქმად დროს.

***მერწყული*** — თუ ოდესმე გარეგნობის შეცვლაზე გიფიქრიათ, ახლა სწორედ  დროა, ეს ჩანაფიქრი განახორციელოთ, თუმცა რადიკალური ცვლილებისგან, სჯობს, თავი შეიკავოთ.

***თევზები*** — დღეს შემოქმედებითი უნარი გამოიჩინეთ და ინტერესთა სფეროს გაფართოებას შეეცადეთ. მოგიწევთ სამსახურში თავის გამოჩენაც, რაც უფროსობის კმაყოფილებას გამოიწვევს. პოზიტიური განწყობა დღის მეორე ნახევარშიც შეინარჩუნეთ და საღამო მხიარულ გარემოში გაატარეთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | | | 2 | | |
| | 4 | 8 | 2 | | | | | 3 |
| 2 | | | | 8 | 7 | | | |
| | 9 | | | | | 4 | 2 | |
| | | 3 | | 5 | | 9 | | |
| | 2 | 6 | | | | | 1 | |
| | | | 7 | 4 | | | | 6 |
| 8 | | | | | 3 | 1 | 5 | |
| | | 4 | | | 1 | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 7 | | | | |
| 5 | | 3 | | | | | 7 | 6 |
| 8 | | 6 | 3 | | | | 1 | |
| 6 | | | | | 2 | | | 7 |
| | | | | 6 | | | | |
| 2 | | | 5 | | | | | 4 |
| | 6 | | | | 9 | 7 | | 5 |
| 9 | 1 | | | | | 2 | | 3 |
| | | | | 4 | | | | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | | | | | |
| | | 7 | | | 8 | | 4 | |
| 9 | | 2 | | 1 | 5 | | 8 | |
| 8 | | | | | 4 | | 5 | |
| | 3 | | | 8 | | | 9 | |
| | 2 | | 1 | | | | | 6 |
| | 1 | | 3 | 5 | | 7 | | 8 |
| | 7 | | 2 | | | 9 | | |
| | | | | | | | | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | | | | | |
| 6 | | 1 | | | 3 | | | |
| | | 3 | | 1 | 8 | 9 | | |
| | 7 | 8 | 1 | | | | | 9 |
| | 1 | 9 | | | | 5 | 4 | |
| 2 | | | | | 5 | 7 | 1 | |
| | | 2 | 8 | 3 | | 1 | | |
| | | | 5 | | | 4 | | 3 |
| | | | | | 1 | | | 7 |



## ქვიშიანი სანაპირო ჯანმრთელობისთვის საშიშია?

როგორც ბიოლოგების ერთი ჯგუფის გამოკვლევები გვიჩვენებს, ზღვის სანაპიროს ქვიშა საშიში ინფექციების წყაროა. რისკჯგუფში ხვდებიან ის ადამიანები, ვისაც ცხელ ქვიშაში ჩაფლობა უყვარს და ასევე ისინიც, ვინც თავს ქვიშის ფიგურების აშენებით ირთობს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიღებული მონაცემების ანალიზი და 27 ათასი ადამიანის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ სანაპიროს ქვიშასთან კონტაქტი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ინფექციის წყაროა.



## ავტომობილი ბიზონის ტყავით

ერთ-ერთ რუსულ საიტზე გასაყიდად უჩვეულო ავტომობილია გამოტანილი, რომელიც მთლიანად ნატურალური ტყავითაა დაფარული, სალონი კი ძვირფასი ბეწვითაა მორთული. განცხადების ავტორი საიტზე წერს: ტყავგადაკრული ავტომობილი, ახლო აღმოსავლეთში ცნობილი ტყავისა და ბეწვის ოსტატის ნახელავი, ერთადერთი ეგზემპლარია მსოფლიოში და მისი ანალოგი არ მოიძებნება! შუშაბოჭკოსგან დამზადებული მანქანის „ჩონჩხი“ კანადური ბიზონის ტყავითაა დაფარული და დაპატენტებული ტექნოლოგიითაა შესრულებული. ასეთი ავტომობილის ფასი 40 მილიონი რუბლია. ჯერჯერობით უცნობია, გამოჩნდება თუ არა ასეთი რარიტეტის შეძენის მსურველი.



## ცოლად ბალიში „მოიყვანა“

კორეის მცხოვრები 28 წლის მამაკაცის მეუღლე მისი საყვარელი ბალიში გახდა, რომელზეც ცნობილი მულტსერიალის გმირია გამოსახული. სასიძოს, ლი ჯინ-გიუსა და მისი რჩეულის ქორწილი ადგილობრივი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გადაიღეს, „ახალდაქორწინებულები“ როგორ ერთობოდნენ ატრაქციონებზე, მერე კი რესტორანში ორი ულუფა სპაგეტიც შეუკვეთეს. აღსანიშნავია, რომ მათი ქორწილი ტრადიციულისგან არაფრით განსხვავდებოდა: სიძე, როგორც წესი, სმოკინგში იყო გამოწყობილი, პატარძალი კი — საქორწინო კაბაში. ამომავალი მზის ქვეყანაში ცნობილი ადამიანების ან მულტიგმირების გამოსახულებიანი ბალიშები კარგა ხანია პოპულარულია, ფორმითა და ზომით კი ადამიანის სხეულს მოგაგონებთ. ბალიშები განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცებსა და მოზარდებს მოსწონთ.



## მთვრალ მენაგვეს მუშაობის ნება დართეს



პორტუგალიელმა მენაგვემ, რომელიც რამდენიმე თვის წინ იმის გამო გაათავისუფლეს, რომ სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა, დამსაქმებელს სასამართლოში უჩივლა, პროცესიც მოიგო და უფროსობას სოლიდური კომპენსაციაც დააკისრა 14-თვიანი უმუშევრობის გამო. როგორც ჩანს, პორტუგალიური თემიდა სპირტიანი სასმელის მიმართ ლოიალური აღმოჩნდა — სასამართლომ დაადგინა, რომ მამაკაცი სამსახურში ნასვამი მიდიოდა, მაგრამ ამით კანონს არ არღვევდა, რადგან ფირმის შინაგანაწესში მსგავსი მოთხოვნა არ არსებობს. დამსაქმებელმა მენაგვეს ადრე ალკოტესტის ჩატარებაც მოსთხოვა, რისი შედეგებიც სასამართლომ უკანონოდ სცნო. ნასვამ მდგომარეობაში მუშაობა მოსარჩელეს ავიწყებს ცხოვრებისეულ სიძნელეებს და უფრო ბედნიერად გრძნობს თავს, რაც დადებით გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, — ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში. დამსაქმებელს კი ურჩიეს, ალკოჰოლის დასაშვები ნორმა დააწესოს.


Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

1. ჩაის დეგუსტატორი
2. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა
3. სუსტი ქარი, ნიავი
4. საბალო დეკორატიული ხელოვნება
5. კაქტუსის არაყი
6. მზის ღმერთი რომაულ მითოლოგ.
7. ხის აღვირი
8. პირველი კოსმონავტი ქალი
9. კანადის უდიდესი მდინარე
10. გალაკტიონის მუზა
11. „განხეთქილების ხილი“
12. მონასტერი თელავის რაიონში
13. უმოქმედობა, უძრაობა (ლათინ.)
14. მაუგლის მეგობარი პითონი
15. გ. პატარაიას მოკლემეტრ.. ფილმი
16. დეკორატიული ბუჩქოვანი მცენარე
17. ტროპიკული დიარეა
18. ტყის ნიმფა ბერძნულ მითოლოგ.
19. ცხენის პირში ამოსადები რკინა
20. პრივილეგიური ჯარი ოსმალეთში
21. ქვეყანა აფრიკაში
22. დედალი ჯიხვი
23. დროის დიდი მონაკვეთი
24. რამდენიმე თოფის ერთდროული დაცლა
25. ველური კომში
26. ინგლისელი ფეხბურთელი
27. მალევიჩის კვადრატის ფერი
28. ჭაობის მცენარე
29. ჩინეთის ვალუტა
30. მდინარე რუსეთსა და ჩინეთში
31. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური რეჟიმი
32. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში
33. ბაჰრეინის დედაქალაქი
34. საკონდიტრო ნაწარმი
35. ხაჩატურ. ბალეტი
36. მუსიკ. ბოზ ...
37. კუზიანი ხარი
38. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
39. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
40. ტიბეტის დედაქალაქი
41. აღმოსავლური ხორციანი კერძი
42. უნგრეთის უდიდესი ტბა
43. ლათინოამერიკული სერიალების ვარსკვლავი
44. ქალაქი ჰოლანდიაში
45. ესპან. მხატვარი
46. მდ. ციმბირში
47. ფიფას მესამე პრეზიდენტი
48. იგივეა, რაც ალკოჰოლიკი
49. მაღალი კვიცი
50. წლოვანება
51. წილი ბიზნესში
52. ქალაქი ფილიპინებზე
53. წიწვოვანი ხე
54. მოსკ. ხუთწიგნეული
55. ძიუდოს შემქმნელი
56. უმცირ. ნატურალური ლუწი რიცხვი
57. ბამბუკის დათვი
58. მდინარე თბილისში
59. ძალიან ბრაზიანი
60. ფრანგი კომპოზიტორი
61. წყვილთა ესპანური ხალხური ცეკვა
62. იგივეა, რაც ბამბა
63. ადამიანის ბიოველი



## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



## ბანკის კლერკები სუნამომ მოწამლა

ტეხასის შტატის ქალაქ ფორტ-უერტეს ერთ-ერთი ბანკის 34 თანამშრომელს ჰოსპიტალიზაცია სუნამოთი მოწამვლის შემდეგ დასჭირდა. BANK OF AMERICA-ში დაახლოებით 150-მა ადამიანმა თავი შეუძლოდ იგრძნო. გამოძახებულმა მედიკოსებმა თავიდან მხუთავი აირით ინტოქსიკაცია ივარაუდეს, თუმცა მოგვიანებით, გაირკვა, რომ ცუდად გახდომის მიზეზი სუნამო იყო. ჩანს, ის ბანკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიიპკურა, რომლის დასახელება ჯერჯერობით არ ხმაურდება. ადგილობრივ საავადმყოფოში 34 კლერკი გადაიყვანეს, რომელთაც ძლიერი თავბრუსხვევა და გაძნელებული სუნთქვა აღენიშნებოდათ. სამართალდამცავებმა კი ოფისი ყველა თანამშრომელს დაატოვებინეს და ახლა გამოძიება მიმდინარეობს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.